# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 28 ივნისი, 2014 წელი.

№124 (7505)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


# 27 ივნისი საქართველოს ისტორიის ახალი დიდი თარიღია!



...მინდა ამ დღეს ემოციები და გრძნობები გაგიზიაროთ ჩემ მშობლიურ ენაზე. დღეს საქართველო დიდ ნაბიჯს დგამს თავისუფალი ევროპისკენ! ვულოცავ ამ დღეს მთელ საქართველოს! — ამგვარი მილოცვით დაიწყო სიტყვით გამოსვლა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიაზე. მან უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი დღე უწოდა 27 ივნისის თარიღს და აღნიშნა, რომ საქართველო მზად არის, იყოს მშვიდობისა და თანამშრომლობის გარანტი რეგიონში.

„დღეს ჩემი სამშობლოს ისტორიაში იწერება ახალი დიდი თარიღი, რომელიც ჩვენ იმედს გვისახავს და რომლითაც ჩვენი შთამომავლობა იამაყებს. სწორედ ამ დღის დადგომაზე ფიქრსა და ზრუნვას შეალია ცხოვრება არაერთმა თაობამ. ამ დღეს დიდხანს ელოდა ჩემი ქვეყანა. მე ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ჩვენს თაობას ხვდა წილად პატივი, სინამდვილედ ექცია ჩვენი წინაპრების ოცნება“, განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

იხ. 2 გვ.

## რატომაა არჩევნებზე ხალხის აქტიურობა დაბალი? 4





## შეგნებულად განხორციელებული სასურსათო გენოციდი 6

## სულხან-საბას კვალდაკვალ ევროპაში 5



**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# 27 ივნისი საქართველოს ისტორიის ახალი თარიღია!

(პირველი გვერდიდან)

მისივე თქმით, დღეს საქართველოს ეძლევა ისტორიული შანსი, დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ გარემოს — ევროპას, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სივრცეს.

სიტყვით გამოსვლისას საქართველოს მთავრობის მეთაურმა აფხაზ და ოს ძმებსაც მიმართა და მათ ევროპასთან დაახლოების შესაძლებლობა შესთავაზა.

**„ჩემო თანამემამულენო, ჩვენ ყველანი ერთი ქვეყნის შვილები ვართ! თქვენ, დღეიდან, ჩვენთან ერთად, ამ პროცესის თანაზიარი ხართ! თქვენ გეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, ისარგებლოთ ყველა იმ სიკეთით, რაც ევროპასთან დაახლოებას მოაქვს,“** — აღნიშნა პრემიერმა.

მანვე ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობაში დაწყებულ ახალი ეტაპზე და განაცხადა, რომ ასოციირების შეთანხმებით საქართველო იღებს ვალდებულებას, ქვეყანაში ეტაპობრივად დანერგოს ევროპული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტანდარტები.




ირაკლი ღარიბაშვილმა გულწრფელად მიულოცა უკრაინელ და მოლდოველ ხალხებს ასოციირების შეთანხმების გაფორმება ევროკავშირთან და მათ წარმატება უსურვა.

**„ვფიქრობ, სიმბოლურია, რომ სამივე ქვეყანა ერთ დღეს ვაწერთ ხელს ამ უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებას, რომელიც არა მარტო ევროკავშირთან დაგვაახლოვებს, არამედ რეგიონში დემოკრატიის გაძლიერებასა და სტაბილურობას შეუწყობს ხელს,“** — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმების ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიაზე.

ევროპის საბჭოს პრეზიდენტის ჰერმან ვან რომპუის განმარტებით, ევროკავშირის საბოლოო მიზანი საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის სრულფასოვანი გაწევრიანება და მათი ევროპულ ოჯახში დამკვიდრებაა.

**„ევროკავშირი თქვენ გვერდით დგას, გაქვთ ჩვენი მხარდაჭერა, სოლიდარობა, ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. უფრო ძლიერი კავშირები დააკავშირებს ჩვენს ქვეყნებს და სრულიად ევროპულ კონტინენტს განვითარებას მოუტანს და სტიმულს მისცემს,“** — განაცხადა ჰერმან ვან რომპუიმ.

თავის მხრივ, ისტორიული დღე უწოდა 27 ივნისის თარიღს ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ.

**„დღევანდელი დღე არის სტრატეგიული მიზნის დასაწყისი, რომ ეს ქვეყნები გახდნენ ინტეგრირებული პოლიტიკურად და ეკონომიკურად ევროკავშირთან. სირთულეების მიუხედავად, ვაპირებთ შეთანხმების ხელმოწერას უკრაინასთან, მოდლოვასთან და საქართველოსთან. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ამ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სურთ კანონის უზენაესობის, რეფორმებისა და ღია საზოგადოების კონსოლიდირება, არამედ მთელი ევრიპისთვისაც“,** — აღნიშნა ბაროზომ.




ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით. დოკუმენტს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ხოლო ევროკავშირის მხრიდან — ევროკომისიის პრეზიდენტმა **ჟოზე მანუელ ბაროზომ** და ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა **ჰერმან ვან რომპუიმ.** ხელშეკრულებაზე ხელი ასევე ხელი მოაწერეს ევროკავშირის 28 ქვეყნის მეთაურებმა.

ხელმოწერის ცერემონიას დაესწრო საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე.

* * *

**ასოციირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, იუსტიციის სამინისტროში სპეციალური დეპარტამენტი იქმნება.**

როგორც „ინეტრპრესნიუსის“ კორესპონდენტი ბრიუსელიდან იუწყება, ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს დელეგაციის წევრმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულიკიანმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, ახალი დეპარტამენტი სწორედ ევროპულ კანონებთან საქართველოს კანონების დაახლოებაზე იმუშავებს.

**„მინდა, დღევანდელი დღე მივულოცო ყველა მოქალაქეს. ჩვენ ამ ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ ყველამ ერთად — ქართველებმა, აფხაზებმა, ოსემბა, ყველამ, ვინც ვართ საქართველოს შვილები. მთავარია, ჩვენ ახლა მოვინდომოთ და სარგებელი, რასაც ასოციირების შესახებ შეთანხმება გულისხმობს, დროულად მივიღოთ. ეს არის პირველ რიგში თავისუფლება, ევროპულ დონეზე ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცება. დღევანდელი დღე დასტურია სწორედ იმის, რომ ქართველი ხალხი არ იღლება საკუთარი დამოუკიდებლობის მშენებლობის საქმეში“,** — აღნიშნა წულუკიანმა.

## შტეფან ფულე: დიდებული დღეა საქართველოსთვის, მოლდოვასთვის, უკრაინისთვის და ევროკავშირისთვისაც

გაფართოება და ასოციირების შესახებ შეთანხმება ორი სხვადასხვა კალათაა, — ამის შესახებ გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა, შტეფან ფულემ ბრიუსელში, ქართული მედიის კითხვაზე კომენტირებისას განაცხადა, რომელიც დაინტერესდა, როდის დაიწყებს ევროკავშირის გაფართოებაზე საუბარი.

**„მე ვარ ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში. ეს, შეიძლება ითქვას, ორი სხვადასხვა კალათაა. ერთიდან მეორეში გადასასვლელად გრძელი გზაა გასავლელი. ასოციირების შეთანხმების ხელმოწერით, ეს გზა საკმაოდ კარგად დაიწყეთ“,** — აღნიშნა შტეფან ფულემ.

**„რაც შეეხება უშუალოდ ასოციირების შესახებ ხელშეკრულებას, ევროკომისრის შეფასებით, აღნიშნული შეთანხმება უპრეცედენტოა და საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას მიერ თავისუფალი, სუვერენული ნების გამოხატვას წარმოადგენს. „დღეს დიდებული დღეა საქართველოსთვის, მოლდოვასთვის, უკრაინისთვის და რა თქმა უნდა, ევროკავშირისთვისაც“,** — აღნიშნა ევროკომისარმა.

## გიორგი მარგველაშვილი: ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების გაფორმება ისტორიული მომენტია

ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების გაფორმება ისტორიული მომენტია, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს ასოციირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ განუცხადა. მარგველაშვილი ბათუმში თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციას ესწრებოდა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ეს ხელშეკრულება თითოეულ ქართულ ოჯახს ბევრ სიკეთეს მოუტანს.

„ეს ხელშეკრულება თითოეულ ქართულ ოჯახს ბევრ კარგს მოუტანს. ასოციირების ხელმოწერის მომენტიდან ჩვენ უკვე გაცხადებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს კიდევ უფრო გავაღრმავეთ და ვიმუშავებთ, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის ნამდვილი წევრი. ვფიქრობ, რომ ეს ისტორიული მომენტია. საქართველო ხდება უფრო დაახლოებული ევროპულ ოჯახთან. ეს გამოიხატება ჩართულობით ეკონომიკების დაახლოების თვალსაზრისით, ჩვენ აგრეთვე ჩავერთვებით ევროპული უსაფრთხოების სისტემაში“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

## ვერანაირ გართულებებს ვერ ვხედავ...

ნებისმიერ კონფლიქტში უნდა ითქვას, რომ გამოსავალი არის მშვიდობიანი მოლაპარაკება — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „CNBC“-ის პირდაპირ ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, ჩვენი თაობები ევროკავშირს უახლოვდებიან.

**„ჩვენ ვიზიარებთ საერთო ღირებულებებს, კულტურას და ასე შემდეგ. ეს არის საწყისი ეტაპი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ჟურნალისტმა პრემიერ-მინისტრს რუსეთისგან მოსალოდნელ შესაძლო საფრთხეებზეც დაუსვა შეკითხვა.

**„2012 წლიდან რაც ჩვენ მთავრობაში მოვედით, ჩვენ დავიწყეთ ურთიერთობა რუსეთთან. რუსეთმა, თავის მხრივ აჩვენა პოზიტიური თანამშრომლურ ურთიერთობები, ვერ ვხედავ ვერანაირ გართულებებს, რომელიც შეიძლება წამოვიდეს რუსეთიდან. ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის რუსეთი უკრაინას, დარწმუნებული ვარ, რომ პოროშენკო გამონახავს გზას, რათა დაიწყოს დიალოგი რუსეთთან და გამოვიდნენ ამ კრიზისიდან“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველო ცდილობს, რუსეთთან კარგი ურთიერთობა იქონიოს.

**„საქართველოს ასოციირების ხელშეკრულება ეს იყო გარდაუვალი. რაც შეეხება რუსეთს, დიალოგია ერთადერთი გამოსავალი, დიალოგის გარეშე არ არსებობს არანაირი გზა. ნებისმიერ კონფლიქტში უნდა ითქვას, რომ გამოსავალი არის მშვიდობიანი მოლაპარაკება“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

## ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასოციირების შეთანხმების ხელმოწერა ქართულად მოგვილოცა

სრულიად საქართველოსა და ქართველს ერს ვულოცავ ამ ისტორიულ დღეს, ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერას. წინ ერთიანი და თავისუფალი ევროპისკენ, — ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკევიჩუსმა საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმების ხელმოწერა „ტვიტერზე“ ქართულად მიულოცა.

ამასთან, ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ გავრცელებულ საგანგებო ვიდეომიმართვაში ასევე ქართულად წარმოთქვა საქართველოსადმი მოლოცვა.

**„ძვირფასო საქართველოს მოქალაქეებო, გილოცავთ ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერას და მოგესალმებით ევროპულ ოჯახში“,** — განაცხადა ლიტვის პრეზიდენტმა.

* * *

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე ქართველი და ევროპელი ლიდერების მონაწილეობით, ვიდეო-მიმართვა სახელწოდებით — „გილოცავ, საქართველო!“ განთავსდა. ვიდეოს ერთვის ტექსტი, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.**

ვიდეო-მიმართვაში საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების გაფორმებას საქართველოს ულოცავენ: — საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ჩეხეთის პრემიერ-მინისტრი ბოჰუსლავ სობუტკა, რუმინეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ პონტა, სერბეთის პრემიერ-მინისტრი ალექსანდარ ვუჩიჩი, მოლდოვის პრემიერ-მინისტრი ლურიე ლეანკა, ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკატე და ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ. აღსანიშნავია, რომ მიმართვაში ქართველ ხალხს ბაროზუ და ლეანკა ქართულ ენაზე ულოცავენ.

* * *

**საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრებენ.**

განხილვის საგანი იქნება საქართველოში ეუთოს მისიის აღდგენის საკითხი. დელეგაცია, რომელსაც ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელი ვიქტორ დოლიძე ხელმძღვანელობს, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე გუშინ გაემგზავრნენ. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა ბაქოში ტარდება.




„ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა არის ფორუმი, სადაც ყველა მტკივნეული პოლიტიკური და არა მხოლოდ პოლიტიკური საკითხი ისმება. ასამბლეის სხდომაზე ერთ-ერთი მთავარი თემა ალბათ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები იქნება. საქართველო მთლიანად უერთდება სულისკვეთებას რაც ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციაში არის გათვალისწინებული. ამავდორულად ჩვენ ამ ფორუმს გამოვიყენებთ, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალხმრივი შეხვედრებისათვის. დავსვამთ ყველა მტკივნეულ საკითხს, მათ შორის ცხინვალში მიმდინარე მოვლენებს, ე.წ. რეფერენდუმის ჩატარების საკითხს, აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს, ვისაუბრებთ დეოკუპაციის აუცილებლობის მნიშვნელობაზე, ასევე შევეხებით ეუთოს მისიის საქართველოში აღდგენის საკითხს. დეტალებზე ჯერჯერობით ვერ ვისაუბრებთ, რადგან მოდელებზე ახლა ვმუშაობთ ეუთოსთან ერთად. საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით მზად არის ამისთვის, პოლიტიკურ ნებას გამოთქვამს, ოღონდ ეს არამც და არამც არ უნდა შეეხოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს“, — განუცხადა ჟურნალისტებს ვიქტორ დოლიძემ.



* * *

**საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების ხელმოწერას საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებიც აღნიშნავენ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ხელმოწერასთან დაკავშირებით საზეიმო მიღება მსოფლიოს 15-მდე ქვეყანაში გაიმართება.

დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, დანიაში, იტალიაში, სლოვაკეთში, საფრანგეთში, ლატვიაში, ლიტვაში, ნიდერლანდებში, ჩეხეთში, ესტონეთში, საბერძნეთში, ნორვეგიაში, რუმინეთსა და შვედეთში საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელშეწყობით უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, სადღესასწაულო მიღებითა და კონფერენციებით, ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერას აღნიშნავენ.

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში კი, საქართველოს საელჩოების ორგანიზებით მიღება გაიმართება. ღონისძიებაზე მიწვეულნი არიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსისა და ამ ქვეყნებში მცხოვრები საქართველოს დიასპორის წევრები.

## ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულება გაფორმებულია

**საქართველომ ევროკავშირთან ასოციირების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. 1 135-გვერდიან დოკუმენტს ხელი მოაწერეს — საქართველოს მხრიდან ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა; ევროკავშირის მხრიდან — ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ და ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ.**

საბოლოო ჯამში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების ხელშეკრულებას ორგანიზაციის 28-ვე წევრი ქვეყნის პირველი პირის ხელმოწერა ექნება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომი ნაბიჯი პარლამენტების მიერ დოკუმენტის რატიფიკაციაა.

ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მისი რატიფიცირება საქართველოს, ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის პარლამენტებმა, ასევე ევროპარლამენტმა უნდა განახორციელონ. პირველი ამ სიაში ლატვია იქნება, რომელიც ხელშეკრულების რატიფიცირებას 3 ივლისს მოახდენს. ივლისში გეგმავს დოკუმენტის რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტიც. ხელშეკრულების სრულად ძალაში შესვლა 2015 წლისთვის არის ნავარაუდევი, თუმცა უკვე მიმდინარე წლის შემოდგომაზე წინმსწრებად ამოქმედდება შეთანხმების ნაწილი, მათ შორის DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება.

საქართველომ და ევროკავშირმა უკვე მიიღეს „ასოცირების დღის წესრიგი“, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას წარმოადგენს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება 2013 წლის 29 ნოემბერს, ქალაქ ვილნიუსში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე განხორციელდა.

### ჟოზე მანუელ ბაროზო:
## დღევანდელი დღე სტრატეგიული მიზნის დასაწყისია

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ბრიუსელიდან იტყობინება, ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამდე ცოტა ხნით ადრე ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

**„დღევანდელი დღე არის სტრატეგიული მიზნის დასაწყისი, რომ ეს ქვეყნები გახდნენ ინტეგრირებული პოლიტიკურად და ეკონომიკურად ევროკავშირთან. სირთულეების მიუხედავად, ვაპირებთ შეთანხმების ხელმოწერას უკრაინასთან, მოლდოვასთან და საქართველოსთან. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ამ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სურთ კანონის უზენაესობის, რეფორმებისა და ღია საზოგადოების კონსოლიდირება, არამედ მთელი ევროპისთვისაც“,** — აღნიშნა ბაროზომ.

საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას ბრიუსელში რამდენიმე წუთში გააფორმებს.

### კარლ ბილდტი:
## დიდხანს ვმუშაობდით, რომ დღევანდელ დღემდე მოვსულიყავით

ასოციირების შესახებ შეთანხმება საქართველოს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა განუცხადა.

**„დღეს უდიდესი დღეა საქართველოსა და ევროკავშირისთვის. ამ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს. ჩვენ დიდხანს ვმუშაობდით იმისთვის, რომ დღევანდელ დღემდე მოვსულიყავით. რა თქმა უნდა, ეს შეთანხმებები ელის რატიფიკაციასა და იმპლემენტაციას და ისინი საქართველოს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს, იმ სწორი პოლიტიკიდან გამომდინარე, რომელსაც საქართველო აწარმოებს და რომელიც საქართველოს კიდევ უფრო განუმტკიცებს ადგილს ევროკავშირის სტრუქტურებში. შვედეთი ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელიც მთელი ძალისხმევით ცდილობდა ამ პროცესის ხელშეწყობას“,** — განაცხადა კარლ ბილდტმა.

## იყავით მტკიცე და გააგრძელეთ წინსვლა!

**დარწმუნებული ვარ, რომ ევროპულ გზას, რომელსაც ადგახართ, ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანთ, — ამის შესახებ ბრიუსელში ჟურნალისტებს ესტონეთის პრეზიდენტმა თომას ჰენდრიკ ილვესმა განუცხადა.**

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ბრიუსელიდან იუწყება, თომას ჰენდრიკ ილვესმა ქართველ ხალხს დღევანდელი დღე მიულოცა და ევროკავშირთან ასოციირების შესახებ შეთანხმების გაფორმებას ისტორიული ნაბიჯი უწოდა.

**„დღეს კარგი დღეა საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის. ასოციირების შესახებ შეთანხმება, რომელსაც ხელი მოეწერება, უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, ეს პირველი ნაბიჯია და წინ რთული გზაა. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ გზას მიიყვანთ ლოგიკურ დასასრულამდე. იყავით მტკიცე და გააგრძელეთ სვლა წინ“,** — აღნიშნა თომას ჰენდრიკ ილვესმა.

* * *

**გუშინ საღამოს თბილისში, ევროპის მოედანზე ევროპასთან დაახლოების ისტორიული დღის აღსანიშნავად ქართველ ხელოვანთა დიდი საზეიმო კონცერტი გაიმართა.**



სტიქია

# გლეხები მოსავალთან ერთად ბინებსაც დაკარგავენ

**„გლეხების უმრავლესობას 30 ათას ლარზე მეტი სესხი აქვს აღებული და თუ ვერ მოახერხებენ დაფარვას, გამოდის, რომ ბინის გაყიდვა და ღია ცის ქვეშ დარჩენა მოუწევთ“**

**ბოლო ერთი თვის განმავლობაში სტიქიამ კახეთის რამდენიმე რეგიონს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. სეტყვისგან გამოწვეულმა ზარალმა ყვარლის, თელავისა და საგარეჯოს რაიონებში გლეხების საკმაოდ დიდი ნაწილი მოსავლის გარეშე დატოვა. ყველაზე გამოუვალ მდგომარეობაში კი ის ფერმერები არიან, რომლებმაც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სამეურნეო სამუშაოებისთვის დაბალპროცენტიანი სესხი აიღეს.** უმეტესობა, ვერ ახერხებს ბანკის ვალის გადახდას, რომლის მოცულობა 30 ათასი ლარია. ფერმერები შიშობენ, რომ მოსავალთან ერთად, შესაძლოა, საცხოვრებელი ბინებიც დაკარგონ. გლეხების გასაჭირზე **bpn**-ს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტმა ირინა ფხოველიშვილმა უამბო: **„2013-14 სამეურნეო წლის განმავლობაში კახეთის რეგიონში იმდენად ძლიერი გვალვა იყო, რომ მოსავლიანობა თითქმის არ არის. ეს განსაკუთრებით ეხება სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და ნაწილობრივ, საგარეჯოს რაიონებს. ბოლო პერიოდში გურჯაანის, თელავისა და ყვარლის რაიონებში სეტყვის შედეგად გლეხებს სერიოზული ზარალი მიადგათ. სიღნაღის რაიონში გვალვის შედეგად ზოგ ნაკვეთში კომბაინის შეყვანასაც კი არ ჰქონდა აზრი, იმდენად არის დამშეული ხორბლის მარცვალი. ასევე სიღნაღის რაიონში, ე.წ. გუმბათის ტერიტორიაზე გვალვამ სერიოზულად დააზიანა რქაწითელის ჯიშის ვაზი“,** — ამბობს ირინა ფხოველიშვილი.

როგორც ირინა ფხოველიშვილმა გვიამბო, გაუსტუმრებელი ბანკის ვალების გარდა, კახელ გლეხებს პრობლემას გაზრდილი მიწის გადასახადებიც უქმნის: **„რადგან ეს ყველაფერი გლეხებისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო მოხდა, საბანკო ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული ფორსმაჟორი და არც აგროდაზღვევა მუშაობს სათანადოდ ქვეყანაში, რჩება ერთადერთი გამოსავალი — მივმართოთ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, რათა გვიშუამდგომლოს კომერციულ ბანკებთან, რომ როგორმე 1 სამეურნეო წლით გადაუვადონ გლეხებს კრედიტების დაფარვის პერიოდი. გლეხების უმრავლესობას 30 ათას ლარზე მეტი სესხი აქვს აღებული და თუ ვერ მოახერხებენ დაფარვას, გამოდის, რომ ბინის გაყიდვა და ღია ცის ქვეშ დარჩენა მოუწევთ“.**

**ამ პრობლემას ემატება კატასტროფულად გაზრდილი მიწის გადასახადი. სახნავ-სათესი მიწის ღირებულება 400 პროცენტით არის გაზრდილი, 500 პროცენტით კი — საძოვრების ღირებულება. თუ 2010 წლის ბოლომდე სიღნაღის რაიონისთვის 1 ჰექტარი მიწის ფართობზე გადასახადი 25 ლარი იყო, 2011 წლიდან გადასახადი 86 ლარი გახდა, საძოვრების ფასმა კი 3-დან 16 ლარამდე მოიმატა. ამის გამო ფერმერს დაუგროვდა იმდენი სახელმწიფო ვალი, რომ ველარ შეძლო გადახდა და უცხოელებზე მიწის გაყიდვა ამჯობინა საცხოვრებელი სახლების აუქციონზე გაყიდვას.**

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში აგროდაზღვევის სისტემა არსებობს, **bpn**-მა გაარკვია, რომ კომერციული სადაზღვევო კომპანიების სადაზღვევო პაკეტში ერთ-ერთი პუნქტი გულისხმობს კახეთში წყალდიდობებისგან, რაჭასა და აჭარაში კი გვალვისგან დაზღვევას. ეს ხდება მაშინ, როდესაც კახეთში უწყლოობის პრობლემაა და წყალდიდობის შანსი თითქმის ნულია.

**შეგახსენებთ, რომ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ 2013 წლის 27 მარტიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ იქნა ინიცირებული, რასაც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს.**

**როგორც სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა გიორგი არველაძემ გვაცნობა, ამჟამად სამინისტრო კახეთის რეგიონში ზარალს ითვლის, რის შემდეგაც შესაბამისი სამსახურები მაქსიმალურად ეცდებიან, გადაწყვეტილება გლეხების სასარგებლოდ მიიღონ. ამ დროისთვის დაზარალებული გლეხებისა და ზარალის საერთო ოდენობის შესახებ ინფორმაცია უცნობია.**

**სალომე შიხაშვილი**

# რატომაა არჩევნებზე ხალხის აქტიურობა დაბალი?



**ადგილობრივი არჩევნები ის სერიოზული გამოცდა იყო, რომლის ჩაბარებასაც „ქართული ოცნება“ ფრიადზე გეგმავდა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, არც ისე წარმატებული გამოდგა. წარუმატებლობა ძირითადად იყო განპირობებული ამომრჩევლის მოჭარბებული ინდიფერენტიზმით, არჩევნებში მონაწილეობისგან თავის შეკავებით.**

აღნიშნულს, მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მოსაზრებით ხსნიან. უპირველესად იმით, რომ ხალხი გადაიღალა არჩევნებით: ხან პარლამენტის, ხან პრეზიდენტის. მეორე, გაცილებით მნიშვნელოვანი - იმედგაცრუება მმართველი პარტიისადმი. ამომრჩეველი მიიჩნევს, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან დღემდე საკმაო დრო გავიდა იმისთვის, რომ „ოცნებას“ ცოტა რამ მაინც გაეკეთებინა იმ უამრავი დაპირებიდან, რომელიც მან საპარლამენტო არჩევნების წინ დაახვავა.

„ოცნების“ მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ მმართველმა პარტიამ ბევრი რამ შეასრულა, რაც მთავარია, ხელისუფლებას ჩამოაშორა „ნაციონალები“.

ის, რომ ხელისუფლებამ ყველა დანაპირები უკვე შეასრულა, თვით პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილის მუყაითმა მოწაფემ, არაერთხელ ამცნო ხალხს. ბიძინაც ხომ იმავეს იმეორებდა ჟურნალისტებთან გამართულ სერიალებზე?!

ასე იყო შევარდნაძის დროს. შავის თეთრად დახატვას განსაკუთრებული თავდადებით ახდენდნენ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობა 20 წელიწადია დიდად განსწავლულია საქმეში, რომელსაც ხელისუფალთა დაპირება და მისი (მათი) შეუსრულებლობა ჰქვია.

ყოველივე ეს კარგად იცოდა საზოგადოებამ, მაგრამ მაინც ფიქრობდა იმ პატარა პატიოსნების მარცვალზე, რაც 2012 წლის წინასაარჩევნო მარათონის დროს დაითესა მზრუნველი მეურნის (ივანიშვილის) მიერ.

მილიარდერი, პატიოსანი კაცი (თუმცა, რუსეთის ისტორიის გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი, ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს პატიოსანი ბიზნესის ნაკრძალად), ქველმოქმედი და ა.შ. თავზე შემოევლება საკუთარ სამშობლოს, გაიზიარებს მის ჭირ-ვარამს, ფეხზე დააყენებს და თუ დასჭირდა, საკუთარ მილიარდებსაც მოახმარს ქვეყნის კეთილდღეობას.

ასე ფიქრობდა საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა, მაშინაც კი, როდესაც ქვეყნის აღმშენებლობის პროცესის დასაწყისში გვერდით ამოიყენა საზოგადოებისთვის მიუღებელი პარტიები, განსაკუთრებით „რესპუბლიკელები“ და პოლიტიკური ფიგურები. თითო-ოროლა სკეპტიკოსი (მათ შორის მეც), ამბობდა, რომ ივანიშვილი ისეთივეა, როგორც დანარჩენი მმართველები იყვნენ და რომ მილიარდერისგან ნაკლებად მოსალოდნელი იყო ფინანსური ჰარაკირი, ანუ საკუთარი მილიარდების საქართველოს მოსახლეობაზე დახარჯვა.

გაუცრუვდათ იმედი და არა მარტო ამ, არამედ ყოფილი ავაზაკი ხელისუფლების სამართლიანად დასჯის საქმეში. და არა მარტო სამართლიანობის აღდგენის, არამედ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის აღდგენისა და სოციალური ყოფის გამოსწორების საქმეში.

„ოცნების“ ხელისუფლების მოკლე მმართველობის პერიოდში შეუსრულებელი დანაპირების ფაქტორი ნაკლებად შეაშფოთებდა საზოგადოებას — ამ საქმეში ათას ბარიერზე გადამხტარს, რაიმე ნიშანწყალი რომ იყოს ვითარების გამოსწორებისა. ყმაწვილმა ხელისუფლებამ, ისე, როგორც წინამორბედმა, განვლილი პერიოდი ნაციონალთა ლანძღვას შეალია, მე ვიტყოდი, ყოვლად უსაგნოსა და არაეფექტიანს. სალანძღავი ლექსიკის მიხედვით, ყოფილები დიდი ხანია, ვირის აბანოს უნდა ხეხავდნენ, მაგრამ საქმე?

საქმე არ ჩანს. რაც ჩანს, ესაა — „ნაცები“, ყოველდღე ტელეეკრანებიდან საზოგადოებას ჭკუას ასწავლიან. არადა როგორი მოსასმენია შარაგზის ყაჩაღებისგან გამუდმებული შეგონებები?! ხელისუფლება, ვითომც არაფერიო, გულს იფხანს ნაცთა უშედეგო ლანძღვით. საზოგადოებამ ხელისუფლების „მუყაით“ მუშაობაში რაც დაინახა, საკუთარი თავის მოჭარბებული პატივისცემაა, თანაც დანაშაულის რანგში აყვანილი.

განვლილ პერიოდში ხელისუფლებამ „ოფლისღვრით“ ილვაწა საკუთარი ხელფასების, ხელფასებზე დანამატებისა და პრემიების გასაზრდელად; საკუთარი ორგანიზმის უზარმაზარი შავი „ტოიოტას“ ჯიპებში ჩასადებად; საკუთარი გუნებაგანწყობილების გასახალისებლად, უცხოური ვოიაჟების გასაათკეცებლად; საკუთარი ნათესავების და ახლობლების სამსახურებში მოსაწყობად; საკუთარი კაბინეტებისა და საკუთარი პერსონის მოსაწყობად და აღსაჭურვად უძვირფასესი მობილური ტელეფონებით, კომპიუტერული სისტემებით და ა.შ. და ეს ყველაფერი დაბეჩავებული, გამათხოვრებული საქართველოს ფონზე.

ხელისუფლებამ, ნაცვლად იმისა, ბოდიში მოეხადა საზოგადოებისთვის აშკარად მიუღებელი საქციელის გამო, აქეთ გადმოვიდა შეტევაზე რა გგონიათ აბა, თუ საჯარო მოხელეები არ დავაინტერესეთ მაღალი ხელფასებით და პრემიებით, სახელმწიფო სამსახურში დარჩებიანო?

ვინ, ვინ და იუსტიციის მინისტრი წულუკიანი თავს ასეთი განცხადების გაკეთების უფლებას არ უნდა აძლევდეს.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა თბილისის საკრებულოს მიერ საკუთარი თავისთვის გამოწერილმა პრემიებმა და თანაც იმ დროს, როდესაც ჯერაც არ ჩამცხრალა მინისტრების პრემიების აჟიოტაჟი. საიქიოს მიმავალი საკრებულოს მიდგომა პრემიებისადმი დაახლოებით ასეთი იყო — ხალხის დედაც, რაც უნდათ, ის თქვან, მთავარია, ჩვენ, „ჩვენი“ მივიღოთო!

კეთილი, მაგრამ ეს „ჩვენი“ რამდენადაა მათი? ეს, „ჩვენი“ ხომ ხალხის ვირული შრომითაა შექმნილი. სწორედ იმ ხალხის, ვისაც, „მამა-მარჩენლებთან“ შედარებით, ათჯერ და ასჯერ ნაკლები ხელფასი აქვს, პრემიაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი?!

„შთამბეჭდავი“ იყო საკრებულოს თავმჯდომარის შიხიაშვილის აგრესია ჟურნალისტებთან, მაგრამ არანაკლებ „შთამბეჭდავი“ იყო თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლის სევდია უგრეხელიძის ნათქვამი — კანონით, მათ უფლება აქვთ, რამდენჯერაც უნდათ, იმდენჯერ გამოიწერონ პრემიებიო.

საბჭოთა კავშირში პრემიას წლის ბოლოს თუ გასცემდნენ, თანაც არა ყველაზე და არა ხელფასზე მეტს! როგორც ჩანს, ამ „დამოუკიდებელ“ ქვეყანაში მარტივი სახელმწიფო წესიც არ არსებობს, რომელიც დაარეგულირებდა საჯარო მოხელის ხელფასს, პრემიას და ხელფასზე რაღაც გაუგონარ დანამატს.

რას ნიშნავს — პრემიას რამდენჯერაც უნდათ, იმდენჯერ გამოიწერენ? ვის ნაშრომს ითვისებენ? ვინ მისცათ მათ — მინისტრი იქნება, პარლამენტარი თუ საკრებულოს წევრი — ხალხის ნაჯაფის მითვისების უფლება? ეჰ, ბიძინა, ბიძინა — ვერ მოძებნე სამშობლოსთვის თავდადებული მოხელე (მოხელეები). და როდესაც ესოდენ უტიფარი, მომხვეჭელური დამოკიდებულებაა მოხელესა და ქვეყანას შორის, იმ ქვეყანას არაფერი ეშველება.

„ოცნება“ გვიმტკიცებს, რომ საკუთარი თავის პატივისცემა „ნაცების“ ბატონობიდან მოდის სწორედ, „ნაცებმა“ ჩამოაყალიბეს მაღალი ხელფასების, ხელფასზე დანამატებისა და პრემიების სისტემაო. კეთილი, მაგრამ განა ძნელი იყო ამ ხნის განმავლობაში მავნე სენზე უარის თქმა? თქვე მამაცხონებულებო, სისტემატურად რომ გაჰყვირით, ევროპაში მივდივართო, რატომ იქაურ წესებს არ იზიარებთ?

ევროპის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ სახელმწიფო მოხელესა და ჩვეულებრივი მსახურის ხელფასებს შორის ესოდენ ასტრონომიულ სხვაობას. პენსიებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. საფრანგეთის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ოლანდმა, სასახლეში შესვლისთანავე, პრეზიდენტისა და მინისტრების ხელფასები საგრძნობლად შეამცირა, ხოლო ნაცვლად „ლიმუზინისა“, ჩვეულებრივი დაუჯავშნავი ავტომანქანა ამოირჩია.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, სხვაგან ევროკავშირში, სახელმწიფო მოხელეებს რომ ესოდენ ჭარბად ერიგებინათ თავისთვის პრემიები? მეორე დღესვე სახალხო გამოსვლები წალეკავდა ასეთ მთავრობას.

სულ ახლახანს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს უხმო - ასოციირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის წინ და კიდევ ერთხელ გვამცნო, რა ბედნიერი გავხდებით უკვე 28 ივნისს, ხელმოწერის მეორე დღესვე. თან ისიც თქვა, რომ საქართველო ევროპაა და ამას წყალი აღარ გაუვა.

ის, რომ საქართველო ძნელად გახდება ევროპა, ტერიტორიულადაც და მენტალურადაც, ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ სააკაშვილების, ბოკერიებისა და სხვათა გამოისობით, საქართველო დიდხანს ვერ ეღირსება პატიოსნებას, კარხა ხანს დარჩება იმ შუასაუკუნეების ეპოქაში, სააკაშვილმა რომ შექმნა. მათ ამისთვის არც ცოდნა ეყოფათ და რაც მთავარია, არ ეყოფათ პატრიოტული სულისკვეთება, ესოდენ დაკნინებულ-დაბეჩავებული მათ და მათი კოლეგების ხელში.

რატომ იყო ესოდენ სუსტი აქტივობა არჩევნებზეო - კითხულობენ „ოცნებელები“, მათი მხარდამჭერები. ზემოთ ჩამოთვლილის და უამრავი ჩამოუთვლელის გამო. ხელისუფლებას დაავიწყდა, რომ საქართველო საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა, თუ რამდენად მიმდევარი ამ ეკონომიკისა, სხვა საქმეა. მაგრამ ის, რომ პოლიტიკური საქონელიც, ანუ პროდუქციაც ვაჭრობის საგანია, ფაქტია. პოლიტიკურ პარტიებს, ისე, როგორც ნებისმიერ საწარმოს, თავისი ნაწარმი გამოაქვთ ბაზარზე გასაყიდად. მრავალმა პოლიტიკურმა პარტიამ, მათ შორის სახელისუფლებომ და გუშინდელმა მმართველმა პარტიამ საკუთარი ნაწარმი შესთავაზა მყიდველს, ანუ ამომრჩეველს. და მანაც (ამომრჩეველმა), ისე, როგორც ბაზარში, შეაფასა ყველას ნახელავი.

შეაფასა და ცხვირაბზუებულმა აღარ იყიდა - ვადაგასულად, გულმიუსვლელად ჩათვალა. ვინც არ ჩათვალა — „ოცნების“ ნათესავ-მეგობრებმა, მისგან დავალებულებმა და დიდი მოლოდინის მქონეებმა, ხმა მისცეს „ოცნებას“. ასევე მოიქცნენ „ნაცთა“ გულშემატკივრები.

უმრავლესობამ ფეხი არ მიადგა საარჩევნო უბანზე. ასე იცის მრავალმა დაპირებამ და არ შესრულებამ. ასე იცის ხელისუფალთა ტყუილებმა და თავის მართლებამ — ჩვენ ისეთ საქმეს ვაკეთებთ, მაღალი ხელფასებიც გვერგება და პრემიებიცო.

ასე იცის ხალხის ოფლით მოპოვებული ფულის მითვისებამ და, რაც მთავარია, საზოგადოების შეურაცხყოფამ. როდესაც ქალაქის ქუჩები ორმოებითაა სავსე; როდესაც საქალაქო ტრანსპორტი გაუმართავად მუშაობს, როდესაც შუა ივნისში ალუჩის ფასი 5 ლარია; როდესაც კატასტროფული ფასებია კვების პროდუქტებზე; როდესაც სიმართლის დასადგენად რკინის ქალამნები უნდა ჩაიცვა; როდესაც შარაგზის ყაჩაღი გუშინდელი „ნაცური“ ხელისუფლება დღესაც ჭკუას გასწავლის; როდესაც „ნაცი“ პარლამენტარები, ხალხის შრომით მოპოვებული მილიონი დოლარის უკან შემოტანას ლამობენ, საკუთარი ბინძური საქმეების გასაჩარხად; როდესაც დაუსჯელი ყოფილი პრეზიდენტი მთელს მსოფლიოს მოძღვრავს საკუთარი „მიღწევებით“ და „უპრაგონოდ“ დაეხეტება სხვადასხვა ქვეყანაში, ხალხის აქტიურობა არჩევნებზე დაბალი იქნება, გაცილებით დაბალი, ვიდრე ა.წ. 15 ივნისს.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

**P. S. არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ და ჩამოუთვლელ საქმეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია არ სჭირდება, მას გულიანი, პატრიოტული შემართება სჭირდება, სამწუხაროდ, ესოდენ დიდი დეფიციტი ჩვენს ქვეყანაში.**

**ჰ. ჭ.**

**ალიანჩალიანი**

## პარლამენტის საგაზაფხულო სესია დასრულდა

**პარლამენტის საგაზაფულო სესია პარლამენტის ბიუროს სხდომით დასრულდა. პარლამენტი მუშაობას ივლისში რიგგარეშე სხდომების ფორმატში გაანახლებს. ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რა რიცხვებში ჩატარდება პარლამენტის რიგგარეშე სხდომები.**

**ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა განაცხადა, მას შემდეგ რაც გადაწყდება თვითმმართველობის არჩევნების ფარგლებში ჩასატარებელი არჩევნების მეორე ტურის თარიღი, გადაწყვეტილება იქნება მიღებული პარლამენტის რიგგარეშე სესიების მოწვევასთან დაკავშირებით.**




**პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით, პარლამენტის საგაზაფხულო სესია ივნისის ბოლო პარასკევს უნდა დასრულდეს. ამასთან, ადგილობრივი თითმმართველობის არჩევნების გამო, პარლამენტს ასევე რეგლამენტის თანახმად, შეჩერებული აქვთ მუშაობა, რადგან დეპუტატები აქტიურად არიან ჩართული წინასაარჩევნო პროცესში.**

**ინტერპრესი**

# სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ ევროპაში





## 22 ივნისი
## პორტოფინო

**ბევრი იარეს თუ ცოტა, სულხან-საბა ორბელიანი და მისი თანამგზავრები პორტოფინოს მიადგნენ, მაგრამ არ გაჩერებულან. არადა, სულ ტყუილად :) დღეს ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია ყვავილოვან სანაპიროზე და მაშინაც ლამაზი უნდა ყოფილიყო. აი, შეხედეთ ამ ფოტოს — ჩემ ფონზე ქალაქი კიდევ უფრო მშვენიერი ჩანს :) ორ-სამს ადგილას მაგარი ციხე იყოო, საბა წერს. იქნებ იმ სამიდან ბონდოს გადაღებულ ამ კადრში ერთი მაინც მოხვდა? ყოველ შემთხვევაში, ორი ამათგანი ზღვიდანაც უნდა ჩანდეს.**

საბას მთელი ღამე უვლია. საბამ რომ ღამით გაიარა, ჩვენ ის ადგილები დღისით გავიარეთ. თუმცა, ამაზე — შემდეგ.

## 22 ივნისი
## ჩინქვეტერე

**სულხან-საბა და მისი თანამგზავრები პორტოფინოს რომ გამოსცდნენ, ერთ ყურეში შევიდნენ, რომელსაც საბა „ძოწის ზღვას“ ეძახის. აქ კლდოვან ნაპირზე გამოდიოდა თურმე სოფლები. ამის მერე ალიკორნის ანუ ლივორნოს თემი იწყება. მთელი დღე და ღამე უვლიათ ალიკორნა-ლივორნომდე.**

როგორც ჩანს, კლდოვან ნაპირზე გამოსულ სოფლებს საბამ ღამით ჩაუარა, თორემ ორიოდე სიტყვით მაინც უეჭველად ახსენებდა მათ. დღეს ეს სოფლები იტალიის ყველაზე ლამაზ ადგილებად არის მიჩნეული და ეს სულაც არ არის გადაჭარბება. ამ სოფლებმა შეინარჩუნეს შუასაუკუნეების ტერასული არქიტექტურა, იმ ეპოქის სული და დღესაც ერთგვარად იზოლირებული არიან გარე სამყაროსაგან; იქამდე, რომ ამ სოფლებში მანქანები არ მოძრაობენ და მრავალრიცხოვანი ტურისტები და დამსვენებლები მანქანებს რამდენიმე კილომეტრის მოშორებით აჩერებენ, თანაც დიდი გაჭირვებით.

საუბარია ხუთ სოფელზე: მონტეროსო-ალ-მარე, ვერნაცა, კორნილია, მანაროლა და რიომაჯორე, რომელსაც დღეს ერთი სახელი ჩინკვეტერე (ხუთი მიწა) ჰქვიათ და ასე ერთიანი სახელით შეყვანილი არიან ბუნების საგანძურის იუნესკოს ნუსხაში.

მისადგომად ეს სოფლები საკმაოდ რთულია. ზღვით ისინი ერთი ხელის გაწვდენაზეა, მანქანით კი კარგა გრძელი, მიხვეულ-მოხვეული და აკიდულ-ჩაკიდული გზა უნდა გაიარო. ზოგან გზა ისეთი ვიწროა, მანქანებს გვერდის ავლა უჭირთ კი არა, ჩვენი „რენოსთანა“ დიდი მანქანა ძლივს ეტევა. მანქანის გაჩერებას ხომ ნულა იკითხავთ! მონტეროსოში დიდი გაჭირვებით დავაპარკეთ მანაქანა, ვერნაცაშიც, თან ისე, რომ ბონდო მაინც მანქანასთან დარჩა. ვერნაცადან კორნილიაში კი სულაც ფეხით გადავედი. აქ ძალიან გამომადგა ჩემი ალპინისტური გამოცდილება, რადგან უკვე ბნელდებოდა და ბონდომდე და მანქანამდე დაბრუნება დღის შუქზე უნდა მომესწრო. კიბეებით და საცალფეხო ბილიკებით ამ სოფლებს შორის ორიოდე კილომეტრია, მანქანით კი მთელ 15 კილომეტრზე უნდა მოუარო — ჯერ მთაზე ახვიდე და მერე ისევ ზღვაზე ჩახვიდე.

ზღვაში ცხვირჩაყოფილ კბოდეებზე შეფენილი ეს პაწაწა სოფლები თეატრალურ დეკორაციებს ჰგავს — თითქოს სტიქიურად კი არ შეიქმნენ მთელი ათი საუკუნის წინათ, მხატვრის ერთიანი ჩანაფიქრით შეესხათ ხორციო.

ხუთივე სოფლის მოსახლეობა მთლიანად ხუთი ათას კაცს არ აჭარბებს, მაგრამ ზაფხულობით ეს რიცხვი რამდენჯერმე იზრდება და აქ ტურისტთა და დამსვენებელთა ტევა არ არის. თუმცა, საზაფხულო სეზონი ჯერ არ გახურებულა, მონტეროსოში იმდენი ხალხი იყო, გავლა ჭირდა. ხალხის სიჭარბის გარდა ამის მიზეზი ისიც გახლდათ, რომ ქალაქის ისედაც ვიწრო ქუჩები და ქუჩაბანდები ყვავილების ხალიჩებით იყო მოფენილი. ათასგვარი სიუჟეტი შეექმნათ ყვავილების ფურცლებით — რელიგიური, სიმბოლისტური, რეალისტური. ქალაქი ინფორიატა ყვავილების ფესტივალს ზეიმობდა. ეს ფესტივალი კი ნაწილია კათოლიკური დღესასწაულისა „კორპუს დომინი“, რომელსაც წინა დღეს გენუაში შევესწარი და რომელიც შეცდომით ერთი კონკრეტული ორდენის დღესასწაული მეგონა.

სულხან-საბას მოგზაურობას უშუალოდ ალბათ არ უკავშირდება, ყოველ შემთხვევაში, საბას ეს სოფლები თავის ტექსტში არ უხსენებია, მაგრამ ჩვენი გვერდის მკითხველი, ვფიქრობ, ინტერესით გაეცნობა ჩემს მიერ ჩინკვეტერეში გადაღებულ რამდენიმე ფოტოს.

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: როგორ არ გაგიხარდება ქართველ კაცს, რომ იტალიის, ევროპისა და მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უმშვენიერეს ადგილას, რომლის მოხილვა ბევრს განუხორციელებელ ოცნებად რჩება, ქართველსაც გადაეყრები. ის იყო, მონტეროსოდან უნდა გამოვსულიყავი, რომ ქართულ ლაპარაკს მოვკარი ყური. სამი გოგონა იყო. სურათებს იღებდნენ და ამაზე ლაპარაკობდნენ ერთმანეთში. არ



გამოვცნაურებივარ. საბა რომ ქართველებს შეხვდა თავის მოგზაურობაში, ისინი ტყვეები იყვნენ და ზოგიერთი მათგანი გამოიხსნა კიდეც, ამ გოგონებს კი არაფერი ეტყობოდათ ტყვეობისა. მე მათ არაფერში ვჭირდებოდი. ლაღობდნენ და ხალისობდნენ. მაინც ვინანე, რომ არ გამოველაპარაკე. სახელებს მაინც ვკითხავდი. მათ ერთ ფოტოსაც ვაგზავნი ჩვენი გვერდისთვის. იქნებ თავის თავს გადააწყდნენ საბას მოგზაურობის ფეისბუქ-პეიჯზე და გაუხარდეთ...

## 23 ივნისი
## ოდიში ტოსკანაში

**ოცდასამს ივნისს ალიკორნას მოვედითო, — წერს საბა. ოცდასამ ივნისს ჩვენ ლივორნოს მოვედით. ლივორნო სწორედაც საბასეული ალიკორნაა. ამ ადგილებმა საბას ოდიში გაახსენა — „ტყიანი, ბრტყელი; შორს მაღალი მთები მოჩანდა“. საბასეული შედარების სიზუსტის დასტურად ბონდო ქურდაძის სიტყვები გამოდგება, — ლივორნოში რომ შემოვდიოდით, როგორ ჰგავს საქართველოსო, სულ ამას გაიძახოდა.**

ლივორნო დღესაც მნიშვნელოვანი პორტია, საბას დროს ხომ იყო და იყო. ხომალდებიდან ჩამოსული მგზავრები და მეზღვაურები გამაგრებული პორტის გალავანში გაჭრილი პატარა კარით შემოდიოდნენ ქალაქში. ეს შემოსასვლელი დღემდე შემორჩა და ლივორნოში გადაღებული რამდენიმე ასეული ფოტოდან მე სწორედ ის შევარჩიე.

ზუსტად 300 წლის წინათ, 1714 წლის 23 ივნისს ამ ქვაფენილზე გაიარა სულხან-საბა ორბელიანმა. როგორც გავარკვიე, ქვაფენილი და თაღი მართლა იმდროინდელია, კედლები კი მერე განუახლებიათ.

## 24 ივნისი
## ლირიკული გადახვევა: ოთარ ჭილაძე და სიენა



**სულხან-საბას და მის თანამგზავრებს 24 ივნისი სულ გზაში გაუტარებიათ და პიომბინოში 25-ში ჩასულან. ჩვენ ლივორნოდან პიომბინომდე ჩვენი მანქანით, რომელიც თავისი გაბარიტებით არაფრით ჩამოუვარდება საბას ორჩხომელს, ამდენი დრო, რასაკვირველია, არ გვჭირდება. ამიტომ გზა ასიოდე კილომეტრით დავიშორეთ და სიენას ვეწვიეთ.**

ამ ქალაქის არსებობა პირველად ოთარ ჭილაძის „იტალიური რვეულიდან“ გავიგე, რომელიც, თუ სწორად მახსოვს, ასე იწყება:

„საითაც გინდათ და როგორც გინდათ,
მე ტურისტი ვარ და სულ ერთია,
თანაც სულ მუდამ ოცნებად ვთვლიდი,
ამ ყოვლის მნახველ გზებზე ხეტიალს“...

იტალიისადმი მიძღვნილ ლექსებსა თუ პოემებში რომსა და ფლორენციას, ნეაპოლსა და ვერონას იშვიათად გასცდებიან ხოლმე პოეტები. და უცებ: სიენა! „ძველი სასახლე იელვებს მთაზე!“

რამდენჯერაც სიენის გზაზე უცხო სასახლე თუ ტაძარი გამოჩნდა, იმდენჯერ წარმოვიდგინე, როგორ უყურებდა სწორედ იმ სასახლეს თუ ტაძარს ნახევარი საუკუნის წინათ რიგითი საბჭოთა ტურისტი და დიდი ქართველი პოეტი ოთარ ჭილაძე.

დაბოლოს, შეხვალ ქალაქში და გადაქთელავს სიენის ის მთავარი ხედი! ყოველი იტალიური ქალაქიდან მხოლოდ თითო ხედი რომ აირჩეს, სიენა უპირველეს ქალაქთა შორის მოხვდება. ამ ხედისთვის ულირს ადამიანს გზის გამრუდებაც, დროისა და ბენზინის ხარჯვაც, „და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს, იგი იმისთვის აღარ დაღონდეს“.

მით უმეტეს, რომ ჩვენ არსად დაგვიგვიანია, პირიქით — საბაზე ადრეც ჩავედით პიომბინოში!

ხვალ ბორნით კუნძულ ელბაზე გადავალთ.

ინებეთ ბატონებო, სიენის მთავარი ხედი! საბას იგი არ უნახავს. ოთარ ჭილაძემ ნახა. მე და ბონდომაც ვნახეთ დღეს, 2014 წლის 24 ივნისს.

ვნახეთ, ზუსტად ისეთი, როგორიც ნახა ოთარ ჭილაძემ. არა მგონია, ნახევარი საუკუნის მანძილზე ხედი შეცვლილიყო. უბრალოდ, ფოთლებია სხვა.

**პაატა ნაცვლიშვილი,**
**სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“**







დედაქალაქი

# თბილისური ურჩხულები



**ცოტა ხნის წინათ საზოგადოება „თბილისელის“ აღდგენასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე, დამსწრეთა წინაშე გამოსულმა ახალგაზრდა არქიტექტორმა მარიამ მენაბდემ, სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი დედაქალაქისთვის ბოლო დროს კატასტროფულად მომრავლებული ურბანული „ფრანკენშტეინების“ მოცილება იქნება.**

იმის თაობაზე ლაპარაკი, თუ როგორ დამახინჯდა თბილისის არქიტექტურული იერ-სახე ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ნამდვილად ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან ამ ურბანულ კოშმარს, უმეცართა სნეული ფანტაზიების საამებლად და, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ჯიბის გასასქელებლად, სრულიად უადგილო ადგილებში წამოჭიმულ ურჩხულებს, ყველანი კარგად ვხედავთ. ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია, ვთქვათ, ავლაბრის და ორთაჭალის მიმდებარედ ორ ავარიულ ხიდს შორის ახალი საცალფეხო ხიდის აგება, თამარ მეფის ხიდის თავში სრულიად უსახო, თანაც ბოდვის დონეზე პომპეზური „პრომეთეს“ ძვირადღირებული ქანდაკების დადგმა, რომელიც რამდენიმე თვეში უკვალოდ გაქრა, ძირძველი რიყის უბნის ასე გავერანება-მოსპობა და ა. შ., არსებითად, წყლის ნაყვაა. ამის შესახებ უამრავი რამ დაიწერა, ჩვენს სახელოვან თანამოქალაქეთა, მათ შორის უმაღლესი რანგის პროფესიონალთა მიერ სატელევიზიო თუ რადიოგადაცემაში ითქვა, მაგრამ თბილისის მერიას არც ერთ მათგანზე არა თუ ჯეროვანი რეაგირება არ მოუხდენია, პირიქით, თბილისურად თუ ვიტყვით, უფრო „მეტად აკრიფა“. საქმეს ვერც შარშან დეკემბერში გიგი უგულავასთვის დედაქალაქის მერობის უფლებამოსილების სასამართლო წესით შეჩერებამ უშველა, ვინაიდან გენიალური ფრანც კაფკას საქვეყნოდ ცნობილი „ციხე-დარბაზის“ სრულიად მისტიკური წიაღის მსგავს თბილისის მერიის ძალაუფლების დერეფნებში ერთხელ დაძრული საქმე, როგორც ჩანს, მერე უკვე თვითდინებით მიდის. თანაც, როცა საქმე მავანთა მერკანტილურ ინტერესებს ეხება, ეს, როგორც ყველამ კარგად ვიცით, ნებისმიერი უვარგისი საქმის საუკეთესო „შეზეთვაა“.

მართალია, შესავალი სიტყვა ცოტა გაგვიგრძელდა, მაგრამ ის აღშფოთება, რომელიც მისი დაწერის საბაბი გახდა, იქნებ მეტსაც იმსახურებდეს.

იმის გარდა, რომ დედაქალაქში ყველა ურბანული წესისა და მოთხოვნის დარღვევით უამრავი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა შენდება, ამ „უმერობის“ ხანაში თბილისს კიდევ ახალ-ახალი უადგილო სიმახინჯე ემატება. მხედველობაში გვაქვს დედაქალაქის ცენტრში, ცნობილი „დეზერტირების ბაზრის“ მიმდებარედ, იქ, სადაც საცხოვრებელ კორპუსთან ამ ტერიტორიაზე ერთადერთი ავტოსადგომი იყო, ახლა... პატარ-პატარა სავაჭრო ობიექტები იგეგმება, რისთვისაც უკვე გამართეს პრეისტორიული ცხოველების ჩონჩხების მსგავსი დაყანგული რკინის კონსტრუქციები.

მოქალაქეთა კომფორტი, სიმშვიდე, ზოგადად აზრი იმის თაობაზე, თუ რომელ ადგილს რა მოუხდება, თბილისის მუნიციპალურ ჩინოსნებს არაფერში რომ არ ადარდებთ, დიდი ხანია, ვიცით, მაგრამ ახლა, როცა რაღაც ერთ თვეში, თბილისს ახალი მერი ეყოლება, რომელიც საკუთარი სურვილით, სულაც, ასეთის არქონის შემთხვევაშიც კი, მაინც იძულებული იქნება მოქალაქეთა აზრს ანგარიში გაუწიოს, მათი ასეთი თავგასულობა, ცოტა არ იყოს, გასაკვირია. ერთი, რომ აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსის მობინადრენი დიდი ხანია, უკიდურეს უკმაყოფილებას გამოხატავენ მათ წინ სახელდახელოდ გამართული არაკანონიერი ბაზრობის გამო, როცა საამისოდ ცალ მხარეს სასურსათო, მეორე მხარეს კი საყოფაცხოვრებო საქონლისთვის გამოყოფილი კეთილმოწყობილი ადგილებია. თუმცა კი, ქალაქისა თუ რაიონის მესვეურთ ეს არაფერში ენაღვლებათ, ამიტომაც ავტოსადგომისთვის გამოყოფილ წინამძღვრიშვილის ქუჩის სავალ ნაწილზე პატარ-პატარა მაღაზიების მშენებლობის ნებართვა გასცეს, დაინტერესებული ხალხი კი მშენებლობას შეუდგა. მათი გამჩერებელიც არავინაა, — როცა მშენებლობის ოფიციალური ნებართვა გაცემულია, მისიშეჩერების უფლება არავის აქვს.

ვითარებას გაცილებით კიდევ უფრო მეტად ის გარემოებაც ამძაფრებს, რომ აღნიშნული ავტომანქანების სადგომი „დეზერტირების ბაზრის“ მიმდებარედ ერთადერთი ადგილი იყო, სადაც სავაჭროდ მისულ კაცს მანქანის გაჩერება შეეძლო, ისიც ბედი თუ გაუღიმებდა და გათავისუფლებულ ადგილს დროზე მოუსწრებდა. ახლა კი ამის თეორიული შანსიც აღარ ექნება...

ჰოდა, შევცქერით ასე მუნიციპალურ ჩინოსანთა ამ უმსგავსო საქციელს, ხმასაც ვერ ვიღებთ. თუმცა, რატომაც არ ვიღებთ? დიახაც, ხმამაღლაც ვამბობთ, რომ ასეთი წაღლეტაზე მიმართული მოქცევა ყველა მედროვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, რომელსაც, დარწმუნებული ვართ, სულ ცოტა ხანში ბოლო მოეღება.

**ოთარ ტურაბელიძე,**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**

ყოფა

# შეგნებულად განხორციელებული სასურსათო გენოციდი

**სოფლის მეურნეობის საკითხთა ექსპერტის პაატა კოღუაშვილის განმარტებით, ქვეყანაში უკანასკნელ წლებში (იგულისხმება „ნაცების“ ხელისუფლება, თუმცა, არც შემდგომ შეინიშნებოდა პოზიტიური ძვრები. — ზ. ბ.), უხეშად ირღვეოდა სასურსათო უსაფრთხოების პრინციპები, სურსათის მოხმარების ნორმები და, აქედან გამომდინარე, წლიდან წლამდე უარესდებოდა მოსახლეობის ცხოვრების, ჯანმრთელობის დონე.**

სასურსათო პრობლემებისადმი ჩვენში დამკვიდრებული დამოკიდებულება და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების არსებული პარამეტრები არა მარტო საფრთხეს უქმნის მოსახლეობის გამოკვებას ფიზიოლოგიური ნორმებით, არამედ პრაქტიკულად გამორიცხავს ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში, საფრთხის ქვეშ აყენებს ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების პერსპექტივას, ამტკიცებს პროფესორი და იქვე განაგრძობს: პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ქვეყანა, რომელიც თვითონ იყო ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტიორი, დღეს სამჯერ ნაკლებს (განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით) მოიხმარს ამ პროდუქტს. კიდევ უფრო დაბალია მაჩვენებელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით. რეალობა ასეთია — ჩვენს მოსახლეობას უაღრესად დაბალმსყიდველობითი უნარი აქვს — ამბობს კოღუაშვილი.

მედიცინის დოქტორი კუზელი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სრულფასოვანია პროდუქტი, თუ იგი საკმარისი რაოდენობით შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საჭირო ინგრედიენტებს — ცილებს, ნახშირწყლებს, ცხიმებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს და ა. შ. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, მოსახლეობისათვის შექმნას ისეთი სოციალური ფონი და პირობები, რომ შესაძლებელი გახდეს ჯანმრთელობისთვის აუცილებელი დაბალანსებული საკვების შეძენა-მოხმარება.

კუზელი ხაზს უსვამს წინა ხელისუფლების მიერ დამკვიდრებულ მავნე ტენდენციას, რომელიც უსიტყვოდ გადმოიღო ახალმა — ეს არის პურისა და პურპროდუქტეულის (ბურღულეულის ჩათვლით) მაღალი მოხმარების დონის დანერგვა მოსახლეობაში. დოქტორი აღნიშნავს, რომ პურისა და პურპროდუქტეულის მოხმარება ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით 1,8-2-ჯერ მეტია. ჩვენი მოსახლეობის საკვების რაციონის ენერგეტიკული ღირებულების თითქმის 62 პროცენტი პურპროდუქტებზე მოდის — ასკვნის კუზელი, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე საუბარს უკვე აღარ საჭიროებს.

ეკონომიკის დოქტორი ზიბზიბაძის დასკვნით კი, განსაკუთრებით დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება (ხორცის 2,5-3-ჯერ, თევზის 4-5-ჯერ, რძის პროდუქტების 2-3-ჯერ). ცილოვანი დეფიციტი კი საშიშია როგორც მოზრდილი ადამიანებისთვის, ისე ბავშვებისთვისაც (განსაკუთრებით).

„ვარდოსნების“ პრობლემისადმი „გულისყურიანი“ მიდგომა იქიდანაც ჩანს, რომ 2009 წლის მერე არ ჩატარებულა არანაირი კვლევა და მეცნიერები ინფორმაციულ ვაკუუმში არიან, 2010 წელს კი სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გაუქმდა „სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორია, ამით საბოლოოდ დაესვა წერტილი ამ თემაზე ნებისმიერ კვლევას, სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავებასა და საერთოდ სურსათის უსაფრთხოების საკითხებს.

კოღუაშვილი და მისი კოლეგები საუბრობენ სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების შესახებ. ამის გადახედვა და დამტკიცება მხოლოდ შევარდნაძის ხელისუფლების დროს მოხდა, ისიც მნიშვნელოვანი დარღვევებით. ირკვევა, რომ ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცება მოხდა მხოლოდ იმ მიზნით, რათა შემცირებულიყო ე. წ. „საარსებო მინიმუმის“ ღირებულება. ამ მიზნით საარსებო კალათში მნიშვნელოვნად შემცირდა ძვირადღირებული პროდუქციის ჩამონათვალი და მოიმატა იაფფასიანმა.



საარსებო მინიმუმის დაანგარიშება ხელისუფლების ხელდასხმულ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ევალებოდა ე. წ. ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე. ჩვენი „გენიოსების“ დასკვნებით მიჩნეულია, რომ სურსათის წილი ამ მაჩვენებლებში 70 პროცენტამდე უნდა იყოს, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმებიან უცხოელი სპეციალისტები. ისინი თვლიან, რომ ადამიანს, როგორც გონიერ არსებას, გარდა პროდუქტისა, სხვა მოთხოვნილებებიც აქვს. ამიტომ განვითარებულ მსოფლიოში სურსათის მოთხოვნილება 15-20 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს (ცხადია, უნდა იყოს კალორიული) დანარჩენი კი უნდა დაიხარჯოს არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ღირებულებაზე.

დღეს ჩვენთან არსებულ საარსებო მინიმუმის „ნაციონალურ“ კალათში სურსათის კილოკალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებულ 2400 კკალზე საგრძნობლად დაბალია.

ყველა დარგის სპეციალისტი თანხმდება იმ გარემოებაზე, რომ მოსახლეობის საარსებო მინიმუმი (სასურსათო და სამომხმარებლო ხარჯები) რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის საარსებო მოთხოვნილებას. მხოლოდ ასეთი მიდგომის შემდეგ არის საუბარი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კეთილდღეობის ამაღლებაზე, რაც კვების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების და, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მკვეთრ გაუმჯობესებაში უნდა გამოიხატოს.

**ზაზა ბილიხოძე**

ალიან-ჩალიანი

## ქართველი სამხედროების ცხოვრება ესპანელი მხატვრის შემოქმედებაში

**თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ ესპანელი მხატვრის აუგუსტო ფერერ-დალმაუს ნახატების გამოფენა მოეწყო.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ღონისძიება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გახსნა. ირაკლი ალასანიამ თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სახელით ესპანელ მხატვარს პროექტის განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა.**

**— ეს პროექტი ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მიერ ავღანეთის მისიაში გაღებულ წვლილს ეძღვნება. ჩვენი ბიჭები მსოფლიოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის ბრძოლას დღესაც განაგრძობენ. საქართველო მზად არის, ეს კურსი გააგრძელოს. ჩვენი სწრაფვა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ შეუქცევადია. საქართველო ავღანეთში 2014 წლის შემდეგაც დარჩება. აუგუსტოს ნახატებში კარგად ჩანს როგორც ჩვენი სამხედროების მებრძოლი სული, ასევე ის რთული გარემო, სადაც მათ უწევთ ცხოვრება,** — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ესპანელი მხატვარი ავღანეთში გაზაფხულზე იმყოფებოდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ის საერთაშორისო მისიაში მყოფ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად ცხოვრობდა და მათ საქმიანობას ეცნობოდა. ესპანელი მხატვარი შთაბეჭდილებებს ნახატებში ასახავს. დაგეგმილია 25 ტილოს შესრულება. აუგუსტო ფერერ-დალმაუ ქართველი სამხედროების ავღანურ მისიაზე წიგნის დაწერასაც გეგმავს. ბათუმში ესპანელი მხატვრის მხოლოდ 5 ტილო იყო წარმოდგენილი. აუგუსტო ფერერ-დალმაუ პროექტზე მუშაობას შემოდგომაზე დაასრულებს.**

# შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P130413**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **EWHIP-4/CW/ICB-01**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **სამშენებლო სამუშაოები E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის რუისი-რიკოთის მონაკვეთის (კმ95-კმ114) მოდერნიზაციისთვის, მონაკვეთი II: აგარა-ზემო ოსიაური (კმ19-კმ31)**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **27 თვე**
შეფასების ვალუტა: **ლარი**

**შეფასებული კომპანიები:**
დასახელება: „Copri Construction Enterprises“ W.L.L
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 104,888,888.88 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 105,019,564.57 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)

დასახელება: „ JV Strabag AG“ & „Caucasus Road Project“ Ltd.
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 108,163,516.05 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 108,163,516.05 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)

დასახელება: “China Railway No.5 Engineering Group Co.,“ Ltd.
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 116,109,843.80 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 116,109,079.15 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)

დასახელება: „Xinjiang Beixin Road & Bridge Group Co.,”Ltd.
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 152,870,319.38 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 152,870,319.38 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)

დასახელება: „ JV Elektra Infrastructure Hofrei Hasharon“ Ltd./ „Ashtrom International“ Ltd
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 188,607,372.07 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)

სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 188,590,864.55 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)

**გამარჯვებული კომპანია:**
დასახელება: „Copri Construction Enterprises“ W.L.L
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი:104,888,888.88 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 105,019,564.57 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)
კონტრაქტის ღირებულება: 105,019,564.57 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)

**დისკვალიფიცირებული კომპანია(ები):**
დასახელება: „JAHANPARS Engineering & Construction“
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 88,535,979.05 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო წინადადება არ არის ხელმოწერილი კომპანიის უფლებამოსილი პირის მიერ.

დასახელება: „Akkord Industry Construction Investment Corporation OJSC“
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 106,896,441.97 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო წინადადება არ არის ხელმოწერილი კომპანიის უფლებამოსილი პირის მიერ.

დასახელება: „Sinohydro Corporation Limited“
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 96,543,432.85 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)
დისკვალიფიკაციის მიზეზი: 2013 წლის 3 დეკემბრიდან კომპანიას დროებით ჩამოერთვა ტენდერში მონაწილეობის უფლება მსოფლიო ბანკის პროცედურების შესაბამისად.

დასახელება: „Jiangsu Jialong Engineering Construction Co.“ Ltd
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 76,792,598.00 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)
დისკვალიფიკაციის მიზეზი: არვალიდური სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია.

დასახელება: „China Nuclear Industry 23 Construction Co.,”Ltd.
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 110,843,746.92 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო წინადადება არ არის ხელმოწერილი კომპანიის უფლებამოსილი პირის მიერ, არავალიდური სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია.

დასახელება: „ KAVKAZ–L LLC“
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 117,826,539.60 ლარი (დღგ-ის ჩათვლით).
დისკვალიფიკაციის მიზეზი: არავალიდური სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია.

# Contract Award Notification

Project Name: **Forth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**
Project Number: **P130413**

Bid/Contract Reference No: EWHIP-4/CW/ICB-01
Scope of Contract: **Construction Works For Upgrading Of Ruisi-Rikoti Section Of E-60 Highway (km95-km143); Section II: Agara-Zemo Osiauri (km19-km31)**
Duration of Contract: **27 Months**
Evaluation Currency: **Georgian Lari**

**Evaluated Bidder (s):**
Name: „Copri Construction Enterprises“ W.L.L
Bid price at bid opening: 104,888,888.88 GEL (including VAT)
Evaluated bid price: 105,019,564.57 GEL (including VAT)

Name: JV „Strabag AG“ & „Caucasus Road Project“ Ltd.
Bid price at bid opening: 108,163,516.05 GEL (including VAT)
Evaluated bid price: 108,163,516.05 GEL (including VAT)

Name:“ China Railway No.5 Engineering Group Co.,“ Ltd.
Bid price at bid opening: 116,109,843.80 GEL (including VAT)
Evaluated bid price: 116,109,079.15 GEL (including VAT)

Name: „Xinjiang Beixin Road & Bridge Group Co.,“Ltd.
Bid price at bid opening: 152,870,319.38 GEL (including VAT)
Evaluated bid price: 152,870,319.38 GEL (including VAT)

Name: JV „Elektra Infrastructure Hofrei Hasharon“ Ltd./ “Ashtrom International“ Ltd.
Bid price at bid opening: 188,607,372.07 GEL (including VAT)
Evaluated bid price: 188,590,864.55 GEL (including VAT)

**Awarded Bidder:**
Name: „Copri Construction Enterprises“ W.L.L
Bid price at bid opening: 104,888,888.88 GEL (including VAT)
Evaluated bid price: 105,019,564.57 GEL (including VAT)
Contract Price: 105,019,564.57 GEL (including VAT)

**Rejected Bidder(s):**
Name: „ JAHANPARS Engineering & Construction“
Bid price at bid opening: 88,535,979.05 GEL (including VAT)
Reason(s) for rejection: The Bid is not signed by a duly authorized representative of the company.

Name: „ Akkord Industry Construction Investment Corporation OJSC“
Bid price at bid opening: 106,896,441.97 GEL (including VAT)
Reason(s) for rejection: The Bid is not signed by a duly authorized representative of the company.

Name: „Sinohydro Corporation Limited“
Bid price at bid opening: 96,543,432.85 GEL (including VAT)
Reason(s) for rejection: Sinohydro Corporation Limited had been temporarily suspended in accordance with the World Bank Sanctions Procedures, as of 04 December, 2013.

Name: „Jiangsu Jialong Engineering Construction Co.“ Ltd.
Bid price at bid opening: 76,792,598.00 GEL (including VAT)
Reason(s) for rejection: Invalid Bid Security.

Name: „China Nuclear Industry 23 Construction Co.,”Ltd.
Bid price at bid opening: 110,843,746.92 GEL (including VAT)
Reason(s) for rejection: Invalid Bid Security, the Bid is not signed by a duly authorized representative of the company.

Name: „KAVKAZ−L LLC”
Bid price at bid opening: 117,826,539.60 GEL (including VAT)
Reason(s) for rejection: Invalid Bid Security.

## დედამიწის ზურგზე

**უკრაინა, მოლდოვა და საქართველო ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ელოდებიან ეკონომიკურ შედეგებს. პროგნოზები არასაიმედოა**



დასავლელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მოსკოვის რისხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით დიდხანს ლოდინს არ მოგვთხოვს. მოსკოვში გამოხატავენ მწუხარებას და მზად არიან, დაიცვან საკუთარი ეკონომიკური ინტერესები. თავად ხელმომწერლებს, უწინარეს ყოვლისა, მოლდოვას, ეშინიათ არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური შედეგებისაც.

**ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მოგვიწოდებს, მივიღოთ „ექსტრემალური ზომები“ აფრიკელების გადასარჩენად ებოლის ციებ-ცხელებისაგან**

ბოლო მონაცემებით, ციებ-ცხელებით დაავადებულთა რიცხვი 635-მდე გაიზარდა. ამ დროს 399 მათგანი სასიკვდილო აღმოჩნდა. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში სასიკვდილო დაავადება გახდა არა მხოლოდ ათობით ადამიანის დაღუპვის მიზეზი, არამედ იგი ვრცელდებოდა ახალ ტერიტორიებზე.

* * *

**პოროშენკომ მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს, უარი განაცხადონ სანქციების შემოღებაზე რუსეთის წინააღმდეგ**

უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზადაა, დადოს სამშვიდობო ხელშეკრულებანი „ვისთანაც გინდა“, ოღონდ „მშვიდობა მოუტანოს თავის ქვეყანას“. რუსეთს არ განიხილავენ როგორც პარტნიორს, ვისთან მოლაპარაკებაშიც შეიძლება გამოიმუშაონ კონსოლიდირებული პოზიცია დონბასში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხში.

* * *

**საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატზე ალჟირის 1/8 ფინალში გასვლით გახარებული ფანატები თავს დაესხნენ პოლიციას და დაწვეს ავტომობილები**

პოლიციის მონაცემებით, მოზეიმე ხულიგნების მიერ მოწყობილი რბევების გამო დაპატიმრებულია 74 კაცი.



უწესრიგობანი მოხდა პარიზში, ლიონში, გრენობლში, მარსელში. ქვეყნის დედაქალაქში პოლიციასთან შეტაკება მოხდა საღამოს და ღამით ქალაქის ცენტრში — ელისეს მინდვრებში. პოლიციამ ფანატები დაშალა ცრემლსადენი გაზითა და წყალმფრქვევებით.

სამიტი

# კანონის არარსებობა ნიშნავს, რომ...

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ტურიზმის სამიტს მასპინძლობს. დასავლეთ ევროპიდან 74 სტუმარი ჩამობრძანდა, რომლებიც რამდენიმე დღე დარჩებიან საქართველოში. სამიტის ორგანიზატორები არიან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი და ამსტერდამის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი.**

სამიტში მონაწილეობდნენ ტურიზმისა და ეკონომიკის სპეციალისტი საქართველოს პარლამენტში მარინა მეტრეველი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს უფროსი რატი ჯაფარიძე და ტურიზმის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი თორნიკე ზირაქიშვილი.

უკვე რამდენიმე წელიწადია, ძველი და ახალი ხელისუფლება ერთნაირად აცხადებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულება ტურიზმია, თუმცა, ამ კუთხით, ჯერჯერობით, დიდად ხელშესახები მიღწევები არ გვაქვს. თუკი ამ დარგის სპეციალისტები ამის მიზეზად სხვადასხვა პრობლემას ასახელებენ, არსებობენ ისეთი სკეპტიკოსებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქვეყნის წინსვლისთვის ტურიზმზე იმედის დამყარება, აბსოლუტურად ფუჭია. მაგალითად, ექიმმა **კახა ყიფიანმა** ჩვენთან ერთ-ერთ პრივატულ საუბარში გულწრფელად განაცხადა, რომ საქართველოში ტურიზმი გლობალურ ჭრილში ვერასოდეს განვითარდება. **„არსებობს ტურიზმის სახეობები — და არა ზოგადად ტურიზმი. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ არ გვაქვს ისეთი საზღვაო ტურიზმი, რომ თუნდაც მეზობელ თურქეთს კონკურენცია გავუწიოთ. არც ისეთი სამთო-სათხილამურო ტრასა გვაქვს, რომ ამ სპორტის მოყვარულები მოვიზიდოთ. საქართველოში არ არის ისეთი წყალუხვი მდინარეები, სადაც ნაოსნობა შეიძლება, ან ექსტრემალური სპორტით დაკავდებიან ტურისტები. ეგზოტიკურ სანახაობებს**




**რაც შეეხება, ჩვენთან არ არიან მარტორქები, ლომები, სპილოები და კენგურუ... არსებობს სექსტურიზმი, რისთვისაც საქართველო ვერ გამოდგება. არის არქიტექტურული ტურიზმი, მაგრამ აქაურმა შენობა-ნაგებობებმა ევროპელისთვის, არა მგონია, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, რაც მას რომში უნახავს, ან ესპანეთში (მე ჩემი ქვეყნის სხალთა, სამთავისი და ჯვარი დედამიწის ყველა სამოთხეს მირჩევნია, მაგრამ, მაინც). როგორც ვიცი, თვით ესპანეთშიც კი, სადაც ტურისტების სიმრავლეა, ეროვნული შემოსავლის სულ რაღაც 8-9 პროცენტს შეადგენს ტურიზმის წილი... ასე რომ, ჩემთვის ძალიან საეჭვოა, როგორ მოხდება ჩვენთან ამ სფეროს განვითარება?!“** — ამბობს ექიმი.

სწორედ სამომავლო სტრატეგიული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად გაიმართა სამიტი, სადაც ქართველები და ევროპელები გამოცდილებას გაუზიარებენ ერთმანეთს, განიხილავენ ინოვაციურ ბიზნესპროექტებს ამ სფეროში და ა. შ.

**გოდერძი გუჩაშვილი,** შავი ზღვის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ამბობს, რომ მომავალ წელს სამიტი კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი იქნება: **„მოხარულები ვართ, რომ ჩვენ ვართ ამ კონფერენციის ინიციატორები და თავის მხრივ სახელმწიფომაც ხელი შეგვიწყო. იმედი გვაქვს, ასეთი შეხვედრები, სემინარები აუცილებლად პოზიტიური იქნება ჩვენი ქვეყნისთვის“** — აღნიშნა მან.

ქალბატონი **მარინა მეტრეველი** გულისტკივილით შენიშნავს, რომ, მართალია, ტურიზმი პრიორიტეტულ სფეროდ არის დასახელებული, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ჯეროვანი ხელშეწყობა არა აქვს. **„ევროკავშირის პროექტის ფარგლებში ორი წლის განმავლობაში ხდებოდა საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესწავლა, ამაზე 900 ათასი ევრო დაიხარჯა. უცხოელმა პარტნიორებმა დაგვიტოვეს რეკომენდაციები ახალი კანონის შესაქმნელად. გავიდა წელიწადი, მაგრამ ძვრაც არ ჩანს. დარგში კანონის არარსებობა ნიშნავს, რომ ვერანაირი თამაშის წესებს ვერ დაიცავთ“.**

ეკონომიკურ ფორუმზე ითქვა, რომ 2013 წლის მასალების მიხედვით, ძირითად კრიტერიუმებში საქართველოს ძალიან ცუდი მაჩვენებლები აქვს, მათ შორის, მომხმარებელზე ორიენტირებულობის თვალსაზრისით 140 ქვეყნიდან 118-ე ადგილი უკავია, ანუ ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ტურიზმი მომხმარებლის სერვისზე არ ზრუნავს. **„როგორც მითხრეს, ეკონომიკურ ფორუმზე მონაცემები საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციას წარუდგენია,** — ამბობს მარინა მეტრეველი, — **მაგრამ ვისგან და როგორ ხდება ასეთი მონაცემების თავმოყრა, გაურკვეველია. ისევ იგივე რომ არ განმეორდეს, ხომ უნდა მოხდეს პრევენცია?! ამიტომ ვამბობთ, რომ აუცილებელია სტრატეგიულად მივუდგეთ საკითხს და შევიმუშაოთ ტურიზმის განვითარების კონცეფცია. ტურიზმის პოლიტიკა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია“.**

შარშან საქართველოში საგრძნობლად მაღალი იყო რუსი და უკრაინელი ტურისტების რიცხვი. ამ ქვეყნებში განვითარებული პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამო, უცნობია წლეულს რომელ ბაზარზე უნდა გაკეთდეს გათვლა. არასტაბილურია ამინდი, რაც სერვისს შეაფერხებს. კრიზისული მენეჯმენტი აბსოლუტურად იგნორირებულია. ტურისტული კომპანიები კი ამ დროს ვერაფერ ინოვაციურ პროდუქტს ვერ სთავაზობენ მომხმარებელს...

მოკლედ, ეს იყო კონფერენციის სასაუბრო თემა, რაც, იმედია, ეფექტიანი შედეგით დამთავრდება.

**ნია ფიფია**

ტურიზმი

# როგორ ვხვდებით სტუმარს?

**ეკონომიკური განვითარების დინამიკის თვალსაზრისით, ჩვენი უნიკალური გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამოსაყენებლად ყველაზე დიდი და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, შედარებით ადვილად ასათვისებელი სფერო ტურიზმია, რასაც ბოლო წლების სტატისტიკაც თვალნათლივ მოწმობს.**

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, ბოლო წლებში საერთაშორისო დარგის ზრდის ტემპი წელიწადში 4 პროცენტია, საქართველოში კი ბოლო ორი წლის მანძილზე ამ მაჩვენებელმა დაახლოებით 40 პროცენტს მიაღწია, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა! აბსოლუტურმა ციფრებმა არ უნდა დაგვაბნიოს — ტურიზმის თვალსაზრისით მსოფლიო ლიდერ ქვეყნებში, ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, სხვაგან, ტურისტული ინფრასტრუქტურა იმდენად განვითარებულია, რომ „იქაური“ პროცენტის მეასედიც კი ჩვენში, რეალურად, შესაძლოა, ათობით პროცენტს ნიშნავდეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ბოლოდროინდელი ზრდა მაინც დიდად შთამბეჭდავია. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, ქვეყანაში ტურისტების ნაკადიც იზრდება და ეს ტენდენცია საკმაოდ მდგრადია. კერძოდ, მარტო შარშანდელი მონაცემები რომ განვიხილოთ, როცა საქართველოს დაახლოებით 5,4 მილიონი ტურისტი ეწვია, ეს მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 22 პროცენტით აღემატება, რაც ძალიან დიდი ზრდაა. წლეულს კი, იმის მიუხედავად, რომ ზაფხულის სეზონის პიკი ჯერ კიდევ წინ არის, ქვეყანაში მარტო 12 მი-



ლიონზე მეტი უცხოელი სტუმარი შემოვიდა, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე თითქმის 10 პროცენტით მეტია. ტურიზმის დარგის მნიშვნელობაზე კი ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მსოფლიოში მის წილად მთლიანად შიდა პროდუქტის მთელი 10 პროცენტი მოდის(!), ხოლო ამ სფეროში მუშაობს მთლიანად დასაქმებულთა 8 პროცენტი.

საქართველოს ტურისტული ხიბლის თვალსაზრისით თუ გადავხედავთ, ქვეყანაში ოცდაათი საკურორტო ზონა და რაიონია, ასზე მეტი კურორტით. მაგრამ, უბედურება ისაა, რომ მათგან მეტ-ნაკლებად თანამედროვე ინფრასტრუქტურა მხოლოდ 30-ში თუა.

რაც შეეხება ტურისტების ნაკადის ძირითად მიმართულებებს, ყველაზე მეტი ხალხი უცხოეთიდან თბილისსა და აჭარის ზღვისპირეთს სტუმრობს, სადაც სხვა მხარეებთან შედარებით გაცილებით მეტი სასტუმროა. მთლიანად საქართველოში სტუმართა განთავსებისთვის 1051 საფირმო და საოჯახო სასტუმრო , კერძო პანსიონატი, კემპინგი და მოტელია 34750 საწოლი ადგილით.

კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ საქართველოში სხვადასხვა მხარეში, კერძოდ, ზღვისპირეთსა და მთაში, საკურორტო სეზონები ზამთარ-ზაფხულის მიხედვით მონაცვლეობს, რაც ინფრასტრუქტურის დატვირთვასა და, შესაბამისად, შემოსავალზე აისახება. მაგალითად აჭარაში, სადაც დატვირთვის პიკი ივლისის მეორე და აგვისტოს პირველ ნახევარზე მოდის, დატვირთვა დაახლოებით 90 პროცენტს აღწევს, დეკემბერში კი — მხოლოდ 10 პროცენტს.

საქართველოში ტურიზმის შემდგომი განვითარების ერთი მთავარი დაბრკოლება ინფრასტრუქტურისა და სერვისის ხარისხია, რაც იმის მთავარ მიზეზად უნდა ჩავთვალოთ, რომ ჩვენში ტურისტების უმეტეს ნაწილს ძირითადად მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის მოქალაქეები შეადგენენ (86 პროცენტი). თუმცა კი, ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა სტუმართა რიცხვმა ირანიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან და ისრაელიდან. აქვე აუცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ მათი დიდი ნაწილი ჩვენში ხანმოკლე ვადით, რამდენიმე დღით სტუმრობს, რაც, როგორც ჩანს, ისევ უხარისხო სერვისით უნდა აიხსნას.

თუ რა ცვლილებები იქნება წლევანდელ ზაფხულის სეზონზე, ამას, ცხადია, მომავალი გვიჩვენებს, ამჟამად კი, უკრაინაში ცნობილი მოვლენების გამო, რაც, საბოლოო ანგარიშით, მისთვის ყირიმის ჩამოცილებით დასრულდა, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ამ ქვეყნიდან ტურისტების ნაკადის მნიშვნელოვან ზრდას ვარაუდობენ. საზაფხულო სეზონზე კიევი-ბათუმის მიმართულებით, ავიაკომპანია „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზებმა“ 14 ივნისიდან რეისების განხორციელება დაიწყო, 2 ივლისიდან კი იგი ყოველდღიურად ოთხჯერ იფრენს. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ თავისუფალი ადგილების ფულად კომპენსირებას საქართველოს მხარე იტვირთავს.

**ოთარ ტურაბელიძე**

ალიან-ჩალიანი

## წითელი ხიდის 5-კილომეტრიანი გზისა და ხიდის რეაბილიტაცია აგვისტოში დასრულდება

**ამის შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტში იუწყებიან.**

**საავტომობილო დეპარტამენტის ცნობით, თბილისი-წითელი ხიდის 5-კილომეტრიან მონაკვეთზე უკვე შესრულდა არსებული საფარის ფრეზირება, საფუძვლის მოწყობა სტაბილიზაციის მეთოდით, ეზოში შესასვლელები, ასფალტ-ბეტონის ქვედა ფენის დაგება.**

**ამ ეტაპზე მიმდინარეობს გზის სავალ ნაწილზე ასფალტ-ბეტონის ზედა ფენის საფარის დაგება, მიერთებების, კიუვეტების, გვერდულებისა და ავტობუსების მოსაცდელი პავილიონების მოწყობის სამუშაოები. ასევე, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია: საგზაო ნიშნების, ლითონის ზღუდარების მოწყობა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნა. ასევე, 77 მეტრი სიგრძის ხიდის რეაბილიტაცია, რომელიც მდინარე ალგეთზე მდებარეობს, მოიცავს არსებული ფილების შეცვლას, შემასწორებელი ფენის და ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებას.**

**სამუშაოებზე დასაქმებულია 40-ზე მეტი ადამიანი და 10 ერთეული ტექნიკა მუშაობს .**

**თბილისი-წითელი ხიდის კმ46-კმ51 გზის სავალი ნაწილისა და სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის 11 მარტს დაიწყო და 30 აგვისტოს დასრულდება. კონტრაქტის ღირებულება 3.229.9 ათას ლარს შეადგენს.**

კითხული კაცის აზრი

# რუსთაველის პრემია უნდა მიანიჭოს საზოგადოებრივმა კომიტეტმა!

**ქვირფასო რედაქცია, როგორც იცით, დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი რუსთაველის და ეროვნული პრემიების პრეზიდენტის უფლებამოსილებიდან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებაში გადასვლის შესახებ.**

ნეტავი ჩვენ! ამაზე დიდი პრობლემები თუ არ გვაქვს, ძალიან კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. რუსთაველის სახელობის პრემია დაწესდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 10 მარტის დადგენილებით, ქართული ლიტერატურის, სახვითი და თეატრალური ხელოვნების და კინემატოგრაფიის მხარდაჭერის და განვითარების მიზნით. პრემიების რაოდენობა ოთხით განისაზღვრა. პირველი ლაურეატები 1965 წელს გახდნენ. ირაკლი აბაშიძე, ელგუჯა ამაშუკელი, კონსტანტინე გამსახურდია და ლადო გუდიაშვილი. კომიტეტის თავმჯდომარეობა შეითავსა მწერალთა კავშირის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ ბ-ნმა ირაკლი აბაშიძემ. 1968 წელს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით პრემიას სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა და რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა. პრემიების მიმნიჭებელ ორგანოს კი „საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი“ ეწოდა. დროდადრო დებულებაში ცვლილებები შედიოდა. კომიტეტის წევრობა სულაც არ იყო იოლი და სასიამოვნო გასეირნება. ის დიდ პასუხისმგებლობასთან და ადამიანურ განცდებთან იყო დაკავშირებული, დიდ დროს ითხოვდა, უნდა წაგეკითხა რამდენიმე პოეტური და პროზაული კრებული, გენახა სპექტაკლები, კინოფილმები, შენობები, მოგესმინა მუსიკალური ნაწარმოებები. გამარჯვებულები (მცირე ნაწილი) თვლიდნენ, რომ მათ ობიექტურად მიიღეს პრემია, ხოლო „დამარცხებულები“ (მეტი ნაწილი) სხვადასხვა ფორმით ავლენდნენ „რისხვას“ კომიტეტის მიმართ. ვარდების რევოლუციის შემდეგ კარგა ხანს იყო გაურკვევლობის პერიოდი. აღმოჩნდა, რომ კომიტეტი დათხოვნილია, თუმცა, ამის შესახებ ოფიციალურად ხელისუფლებას არ განუცხადებია. კულტურის მინისტრმა არ ჩათვალა მიზანშეწონილად, რომ ორი სართულით ქვემოთ ჩამოსულიყო და მადლობა მაინც ეთქვა კომიტეტის წევრებისთვის. კანონზე მორიგი თავსლაფის დასხმა იყო სააკაშვილის მიერ პრეზიდენტობის გარდამავალ პერიოდში, ფაქტობრივად, არა პრეზიდენტის მიერ, 2013 წლის მაისში, კომიტეტის გვერდის ავლით, თვითნებურად პირადი სიმპათიებით, პროცესუალური საკითხების დარღვევით დამატებით რვა რუსთაველის პრემიის გაცემა.

მე არ ვიცი, რას ითვალისწინებს „ახალი რეალობა“, ვინ უნდა მოაწეროს ხელი პრემიების შემაჯამებელ ოქმს, პრეზიდენტმა თუ პრემიერმა, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, **პრემია უნდა მიანიჭოს კომპეტენტურმა საზოგადოებრივმა კომიტეტმა,** სადაც შეიძლება სახელმწიფოს ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, ხმის უფლების გარეშე. არავითარ შემთხვევაში სახელისუფლო აპარატმა. ისე, ინტუიცია მკარნახობს კომიტეტის ოქმს, საბოლოოდ ხელი უნდა მოაწეროს პრეზიდენტმა.

**ვახტანგ დავითაია,**
**რუსთაველის პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის ყოფილი წევრი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი**

ფიქრი ხმამაღლა

# სირცხვილო, სად არის სინითლე შენი?

**ერთადერთი, რაც გასულ შაბათს, 21 ივნისს, „მსახიობის სახლს“ დროებით თავშეფარებულ, ბინაწართმეულ მწერალთა 24-ე ყრილობიდან უმძიმეს ტვირთად და ტკივილად გამომყვა, სათაურად გამოტანილი სწორედ ეს კითხვა გახლდათ.**

რამ დაბადა? რამ და ქვეყნის უდიდესი შეჭირვების ჟამს მავანთა მიერ საკუთარი მოვალეობის დავიწყების, აზროვნების გაუკუღმართების, ცილისწამების, ცინიზმის, უმეცრების, კინკლაობისა და ყოვლად გაუმართლებელი სიძულვილის იმ საგანგაშო დონემ, რომელმაც „მსახიობის სახლი“ ყველას თვალწინ დამყაყებული ჭაობით დატბორა.

არადა, რომ არა ეს ჭაობი, თითოეულ ჩვენგანს, მით უფრო მწერალს, საფიქრალსა და განსასჯელს რა დაულევს იმ ქვეყანაში, რომლის ყოფნა-არყოფნა ჯერ კიდევ ბეწვზე ჰკიდია? ამას უამრავიდან თუნდაც ის ორი ძალზე საგანგაშო ინფორმაციაც ადასტურებს, რომლებიც ითქვა, მაგრამ ისე დარჩა „ხმად მღაღადებლისად“, თითქოს არც თქმულა და არც არავის გაუგონია.

თურმე ჩვენმა უახლოესმა მეზობელმა, რომლებსაც ყოველთვის კეთილად და აღმატებული ხარისხით მოვიხსენიებთ, საზღვარი ჩაუკეტეს საინგილოში მოღვაწე ქართველ მწერალს და მან ყრილობაში მონაწილეობა ვერ შეძლო.

მეორე ინფორმაცია კიდევ უფრო საგანგაშო გამოდგა: აღმოსავლეთელივით რატომღაც ჩვენს უახლოეს მეგობრად შერაცხილი სამხრეთელი მეზობელი, რომელმაც ჯერ გიორგი სააკაძესა და მის შვილს წააცალა თავები, არც თუ ისე შორეულ წარსულში კი ისარგებლა „კეთილმოსურნე“ ჩრდილოეთელი მეზობლის „გულუხვობით“ და ტაო-კლარჯეთი წაგვგვარა, ამჯერად მახვილით კი არა, გაცილებით მჭრელი იარაღით — ფულით ცდილობს დაეუფლოს იმას, რისი მიტაცება ადრე ვერ შეძლო.

ამ ფიქრებით დამძიმებული გავუყევი გზას ჩვენი ქვეყნის დედაგულის ცენტრალურ ქუჩაზე, სადაც ფირნიშებზე იმდენად თვალში საცემია სხვათა ენითა და დამწერლობით კეკლუცობა და დედაენის უპატივცემულობა, როგორც უაღრესად მომრავლებული მათხოვრები, რომლებიც ჩვენი გაღატაკებული და მასობრივი უმუშევრობით გაწამებული ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულში შესაბრალისად ხელგამოწვდილები სხედან.

არც ამაზე თქმულა რაიმე იმათ ყრილობაზე, რომლებიც, როცა ასეთ გულისმომკვლელ სურათს ყოველდღე უყურებენ, წესითა და რიგით ულვთოდ არ უნდა დუმდნენ. ეს მით უფრო მაშინ, თუ მწერალი მართლაც მწერალია და ხვედრმა ღმერთთან საუბრის იმედი არგუნა. არადა, დარბაზში, სადაც ისინი ისხდნენ, გამგონეთათვის ძალზე საჭირო შეგონებაც გაისმა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერის სულიერი მამის ვედრება: თავი დაანებეთ კინკლაობას და ქვეყანას მიხედეთო.

სამწუხაროდ, ეს რჩევაც ჩაიკარგა ერთმანეთის წინააღმდეგ ცილისწამებისა და ათასი უბედურების დაბრალების მიზნით მიკროფონის ტაციობისას, რაშიც განსაკუთრებით მწერლუკანები გამოირჩეოდნენ.

ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“ და ამიტომ მავანს, რომელსაც „ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“ და ბევრჯერ ესეც არ შეუძლია, არც თუ იშვიათად განდიდების გზად მასზე ყოველმხრივ აღმატებულთა და განსაკუთრებით გამორჩეულთა ლანძღვა-გინება ეჩვენება.

სხვათა შორის, გოშიებმაც ასე იციან — პატრონს რომ თავი მოაწონონ, მათსავით პატარებს კი არა, რჩეულ ნაგაზებს უყეფენ.

არადა, მეორე და მესამე ათასწლეულთა გზაშესაყართან დატრიალებულ ქარბორბალასა და კატაკლიზმებში მოხვედრილი ჩვენი ქვეყნის უდიდესი განსაცდელის ჟამს, როცა განსაკუთრებით საშიშია იმის თითოეული ნაბიჯი, ვისაც არც სინდისი აქვს და არც გაწითლების უნარი, ბოლოს და ბოლოს ვიღაცამ ხომ უნდა შეახსენოს მისი შესაფერი ადგილი, თანაც — არა მარტო მწერლობაში, არამედ ცხოვრებაშიც?

**ალექსანდრე შენგელია**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

- **ე.ი. დღეიდან ლობიანის მაგივრად კრუასანი უნდა ვიყიდო ჟუჟუნას ბუტკაში?**
- **გამუდმებით ამაზე ვფიქრობ და, მე თუ მკითხავთ, ასოცირების ხელშეკრულებისათვის პაატა დავითაიას უნდა მოეწერა ხელი. ოფიციალურად ევროპელი და თანაც დემოკრატი, ერთადერთი ეგა გვყავს საქართველოში.,დანარჩენები, ჯერჯერობით მაინც, სულ აქაურები ვართ.**
- **მეორე ტურზე second hand-ის ტანსაცმლით უნდა მივიდეთ?**
- **არჩევნების მეორე ტური, ხუთი მილიონ ს ჩემტა დაჯდებაო. პატარა უფლისწული ამბობდა, 43 წუთი თავისუფალი დრო რომ მქონდეს, ნელი ნაბიჯით წავიდოდი წყაროსკენო.**

**ხუთი მილიონი რომ მქონდეს, არც ერთი ტური აღარ მენდომებოდა.**

- **გერმანელებს რავა ვუბალელშიკო, ეგენი არ არიან მაპის ღია კართან, მუნდიალის მსაჯივით ქაფიანი ზოლი, რომ გაგვივლეს?**
- **ძალიან მაინტერესებს, ახლა ქვეყნის უშიშროების საბჭო კონცერტის დეტალებს აზუსტებს თუ აანალიზებს მოსალოდნელ საფრთხეებს რუსეთის მხრიდან და რაიმე პრევენციულ ღონისძიებებს გეგმავს? საერთოდ, გვყავს ეგეთი და მსგავსი სტრუქტურები ამ ქვეყანაში?**
- **ვინც არაევროპულ გუნდებს გულშემატკივრობთ, იცოდეთ, რომ 27-დან არაპატრიოტულია.**
- **აჩვენეთ ზაქარეიშვილი პუტინს და შიშისგან აფხაზეთსაც დაგვიბრუნებს და ოსეთსაც გვაჩუქებს.**
- **ევრიკა! მივხვდი! MAP-ი არც საჭმელია და არც სასმელი, MAP-ი ზმანებაა, მირაჟი, რომლსაც ჩვენს აღქმაში ვუახლოვდებით, ვუახლოვდებით, ვუახლოვდებით და ვერ ვუახლოვდებით, ან კიდევ ვირის წინ დაკიდებული იონჯის კონაა, გვამუშავებენ და მხოლოდ იმედებით გვკვებავენ.**
- **მე უკვე 18 წელია, რაც მივხვდი,რომ ნატოს კაი 50 წელი უნდა კიდევ, რომ ჩვენს აზროვნებას, ურთიერთობის ფორმებს, მგრძნობელობას, ლიტერატურას, მუსიკას, დედაშვილობას, სტუმრის პატივისცემას, ამავე დროს, ერთმანეთის ხშირად ფეხებზე დაკიდებას და „სანდო წყაროზე“ დამყარებულ „გონივრულ „ეჭვიანობას“და ცილისმწამებლობას, ერთმანეთისათვის კვანტის დადებას და უმადურობას, „მე თუ არა ვინ“-ს დაეწიოს! რავარც ოთარი ვერ გახდება OTANI ,ისე ეგენი ჩვენს დონემდე ვერ მოვლენ და ვისაც გინდათ დაელოდეთ-იმედი ბოლოს კვდება!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

თაობა



# „გვირილას“ გზა და მიზნები

**ფილარმონიის დიდ სცენაზე სიმღერას ცეკვა ენაცვლებოდა, ცეკვას — სიმღერა. საამო ჰანგები იღვრებოდა დარბაზში. ოვაციებს არ უჩანდა ბოლო. პატარა ვირტუოზების ოსტატობით მოხიბლული მაყურებელი ფარდის დაშვების შემდეგაც დიდხანს უკრავდა ტაშს. ასეთი იყო ის საღამო, რომელიც „გვირილამ“ აჩუქა დედაქალაქს. კონცერტის შემდეგ ანსამბლის ხელმძღვანელი ერნა წიფურია ქომაგების ალყაში მოექცა და გულთბილ მილოცვებს იღებდა.**

— ყველაფერი 21 წლის წინათ დაიწყო, — გვითხრა ქალბატონმა ერნამ, როცა ჩვენთვისაც მოიცალა. — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული თბილისში ჩუღურეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გამანაწილეს კონცერტმეისტერად. ერთ დღეს კომპოზიტორი ნუნუ არჩვაძე გვეწვია და საკუთარი სიმღერა „გვირილა“ შეგვისრულა გიტარაზე. ძალიან მოგვეწონა და მაშინ გადავწყვიტეთ, მოზარდებისგან ვოკალური წრე ჩამოგვეყალიბებინა, რომელსაც „გვირილა“ დავარქვით. მერე დახმარებისთვის კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილს მივმართეთ, მანაც რამდენიმე სიმღერა, მათ შორის, ანსამბლის ჰიმნი დაგვიწერა. ლამაზი ყვავილია გვირილა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის აუცილებელი თვისებებიც აქვს. ანსამბლი „გვირილაც“ ასეა — მაყურებელს ხიბლავს საამო ჰანგებით, ჩვენს წევრებს კი ღირსეულ მოქალაქეებად ვზრდით და ხელოვნების უსაზღვრო სამყაროსკენ ვუკაფავთ გზას.

**— ქალბატონო ერნა, თქვენს ოცდაერთწლიან შემოქმედებით გზაზე რას გვეტყვით?**

— მოგეხსენებათ, საქართველოში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი როგორი რთული პერიოდი იყო — ომი, უშუქობა, შიმშილი, გაუტანლობა. გახსენებაც არ მინდა. სირთულეების მიუხედავად, მუშაობა წუთითაც არ შეგვიწყვეტია. მშობლები გვიმაგრებდნენ მხარს. მაშინ ჩვენთან ერთად ბევრმა საბავშვო სტუდიამ დაიწყო საქმიანობა, მაგრამ ვერ გაუძლო ეპოქის ქარტეხილებს და დაიშალა. ეტყობა, თავიდანვე სწორი გეზი ავიღეთ, რომ მშობლებმა და მაყურებელმა ზურგი არ გვაქცია. 21 წლის განმავლობაში უამრავი კონცერტი გავმართეთ როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ თვენახევრიანი გასტროლები გვქონდა დანიაში, რუსეთში ქრისტიანობის მიღების 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით კონცერტები გავმართეთ კრემლში, იტალიაში „ჯადოსნური სიმღერის“ ლაურეატი გავხდით, 2000 წელს თბილისის მერიამ, შარშან კი ვოკალურ სტუდია „მეგას“ ფესტივალზე საუკეთესო საბავშვო სტუდიად გვაღიარეს, 2013 წელს ბულგარეთში გრან პრი დავიმსახურეთ. ყველაფერი ეს „გვირილას“ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებთან ერთად ჩვენი პედაგოგების - კონცერტმეისტერ ნათია ასათიანის, პროექტების მენეჯერ ნინო ჩიხლაძის, ქორეოგრაფ ანუკი იანვარაშვილის და სხვათა თავდადებული მუშაობის შედეგია. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ანსამბლის ყოფილი წევრები — გიორგი ანდღულაძე და მერიკო ღონღაძე დღეს იტალიაში მოღვაწეობენ. არაერთხელ უსახელებათ თავი დიდ სცენაზე ნანიკო კოლელიშვილსა და თათია ბააკაშვილს. ახლაც შესანიშნავი ნორჩი შემსრულებლები გვყავს: ბიძაშვილები ნატა და სალომე ხერკელაძეები, თინი ლოლაშვილი, თიკა ზურაბიშვილი, მარი მელიქიძე და სხვები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

**— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— 29 ივნისს აჭარის დედაქალაქში ბათუმის მერიის მხარდაჭერით საზაფხულო დარბაზში დიდი კონცერტი გაიმართება სხვადასხვა კოლექტივის მონაწილეობით, მათ შორის, „გვირილაც“ იქნება. ეს საღამო ეძღვნება ევროპის ახალგაზრდობის 2015 წლის ოლიმპიურ ფესტივალს, რომელიც თბილისში გაიმართება. აგვისტოში საკონცერტო ტურნე გვაქვს ეგვიპტეში, ხურგადაში ქართული კულტურის დღეებშიც მივიღებთ მონაწილეობას. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ცხოვრების რიტმსა და ტემპს არ ჩამოვრჩეთ, მოვხიბლოთ მაყურებელი, მათი სიყვარული, ეროვნული ფასეულობები და ინდივიდუალურობა შევინარჩუნოთ.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია.**

**სურათზე: ერნა წიფურია „გვირილას“ წევრებთან ერთად.**
**ავტორის ფოტო**

◉ მუნდიალი – 2014



# თავდავიწყება აწი იწყება

**მაშ ასე, მოთელვა დასრულდა და ემზადეთ ნაღდი ფეხბურთისთვის – დღეს ბრაზილიური მუნდიალის პლეი-ოფები იწყება.**

ჯგუფური რაუნდი „ძველი სამყაროს" კრახით დამთავრდა – ესპანეთის, იტალიის, ინგლისის, პორტუგალიისა და რუსეთის ფიასკოს შედეგად მერვედფინალში ევროპას მხოლოდ 6 ნაკრები წარმოადგენს. რაც შეეხება ბალკანელებს, ხორვატებმა და ბოსნიელებმა ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს და ღირსეულად დაემშვიდობნენ ფორუმს. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას აზიელებზეც, ამერიკის წარმომადგენლებმა კი პირწმინდად მოიგეს კონტინენტური დუელი და პლეი-ოფის კვოტის ზუსტად ნახევარი „აითვისეს".

**ასე რომ, მერვედფინალში ითამაშებენ:**
**დღეს – ბრაზილია – ჩილე, კოლუმბია – ურუგვაი.**
**ხვალ – ჰოლანდია – მექსიკა, კოსტა-რიკა – საბერძნეთი.**
**ზეგ – საფრანგეთი – ნიგერია, გერმანია – ალჟირი.**
**1 ივლისს – არგენტინა – შვეიცარია, ბელგია – აშშ.**

**გიორგი შოთაძე**

◉ ახალი ხილი

# ამერიკული ფეხბურთის მატჩები თბილისში



**საქართველოს ამერიკული ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით, ქართულ-ამერიკული მრავალწლიანი მეგობრობის აღსანიშნავად, ამ დღეებში გაიმართა ამხანაგური მატჩების სერია ამერიკული ფეხბურთის სახეობა „ფლაგ ფეხბურთში".**

შეხვედრები ჩატარდა „მერანის" საფეხბურთო ბაზაზე. სულ გაიმართა 4 მატჩი საქართველოს ამერიკული ფეხბურთის ფედერაციის გუნდებსა და ამერიკის საზღვაო ფლოტს შორის: თჰუ – ამერიკის საზღვაო ფლოტი1 12:6, ილიაუნი – ამერიკის საზღვაო ფლოტი2 0:10.

შეხვედრებს ესწრებოდნენ საქართველოს ამერიკული ფეხბურთის ფედერაციის, თავდაცვის სამინისტროს, ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები. სერიის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ ალექსანდრე გაგოშიძე და პაპუნა სონგულია.

საქართველოს ამერიკული ფეხბურთის ფედერაცია მსგავს მატჩებს მომავალშიც გამართავს.

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ მისტიკა ბრაზილიაში

# შამანები მსოფლიო ჩემპიონატზე

**სადაც საქმეში ლათინოამერიკელები ან აფრიკელები ჩაერთვებიან, იქ აუცილებლად წამოიწევს ხოლმე წინ შამან-მჩხიბავ-ჯადოქრობის თემა და ამ მხრივ გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატია. მით უმეტეს, რომ ეს მუნდიალი შამანეთის გულისგულში – ბრაზილიაში ტარდება.**

როგორც სამუნდიალო მედიაში ვკითხულობთ, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩემპიონატზე მოვლენილ შამანთა შორის ყველაზე



პოპულარულები და, შესაბამისად, საკუთარი გუნდის „გამქაჩველები" ჩილელი შამანები ყოფილან, რომლებიც დღე და ღამე ცდილობენ მათი გუნდის ჯიგრიდან ავი სულების განდევნას.

სხვათა შორის, ჩილელი შამანები იმითაც გამოირჩევიან, რომ ისინი არა მხოლოდ საყვარელი ნაკრების წარმატებისათვის აბოლებენ ათასგვარ ბალახ-ბულახს, არამედ სხვა გუნდების წარუმატებლობასაც შესთხოვენ საშიშ სულებს. ერთ-ერთ ბრაზილიელ შამანს უთქვამს – სუარესის კბილთა ღრჭენა ჩემი დამსახურებაა და სწორედ მე შევულოცე ამ ბიჭს კბენა რომ დაეწყოო. მოკლედ, კაცი არ მოიწყენს ბრაზილიაში...

**ბეჟან დოლიძე**

◉ კალათბურთი

# სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი



**კატალონიის „ბარსელონამ", რომ იტყვიან, სამამულო ომი მოუგო მადრიდის „რეალს" – 3:1 და ესპანეთის ჩემპიონი გახდა.**

სერიის მეოთხე და, როგორც აღმოჩნდა, გადამწყვეტი მატჩი „ბლაუგრანამ" საკუთარ დარბაზში ომახიანად დაიწყო და ერთ ეპიზოდში 12-ქულიანი ჰანდიკაპითაც დაწინაურდა, მაგრამ „სამეფო კლუბმა" საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა – 76:76! კრიტიკულ ვითარებაში აბრინესმა და ოლესონმა უზადოდ შეასრულეს საჯარიმო ტყორცნები და მასპინძელთა ქომაგებს უსაზღვრო სიხარული მიანიჭეს – 83:81.

აღსანიშნავია, რომ ოქროს მედლით საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი გამთამაშებელი ჯეიკობ პულენიც დაჯილდოვდა, რომელმაც „ჯვაროსანთა" ამჟამინდელ ლეგიონერს რიკი ჰიკმანს მიბაძა. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი თელ-ავივის „მაკაბის" შემადგენლობაში ახლახან ისრაელის ჩემპიონი გახდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ მარადიული არაფერია

# ასამოა გიანმა როჟე მილას რეკორდი გააუმჯობესა

**განის ეროვნული ნაკრების და „ალ-აინის" ცენტრალურმა ფორვარდმა ასამოა გიანმა ლეგენდარული ფეხბურთელის როჟე მილას რეკორდი გააუმჯობესა.** პორტუგალიის წინააღმდეგ წაგებულ მატჩში (1:2) განელთა მხრიდან ერთადერთი გოლი 28 წლის თავდამსხმელმა გაიტანა და მსოფლიო ჩემპიონატებზე აფრიკელ ფეხბურთელთა შორის საუკეთესო ბომბარდირი 6 გოლით გახდა.

აქამდე ეს ტიტული კამერუნელ როჟე მილას ეკუთვნოდა, რომელმაც 1990 და 1994 წლების მუნდიალებზე 5 გოლი გაიტანა. ასამოა გიანმა მილას რეკორდი გერმანიის წინააღმდეგ დაპირისპირებაში გაიმეორა.

**კობა კობახიძე**



◉ გულმა გული იცნო

# ჯოკოვიჩმა ქორწილის დღე დანიშნა და კოლეგებიც დაპატიჟა



**ცნობილმა სერბმა სპორტსმენმა, მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა 2014 წლის 9 ივლისს ჩერნოგორიაში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში ქორწილი დანიშნა. ის შეყვარებულ ელენა რისტიჩზე აპირებს დაოჯახებას.**

ამის შესახებ განცხადება თავად ჯოკოვიჩმა გააკეთა.

ქორწილში დაპატიჟებულ სტუმრებს შორის ჯოკოვიჩის კოლეგებიდან ელენა იანკოვიჩი, ვიქტორ ტროიცკი, იანკო ტიპსარევიჩი, ნენად ჟიმონჟიჩი (ყველა სერბეთი), მარია შარაპოვა (რუსეთი) და ენდი მარეიც (დიდი ბრიტანეთი) იქნებიან.

შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩმა განცხადება მისი და რისტიჩის ურთიერთობის შესახებ ჯერ კიდევ 2014 წლის აპრილში გააკეთა, მაგრამ ქორწილის კონკრეტული დღე ახლა გამოაცხადა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ რაც დათესა...




# ფონინი სამაგალითოდ დაისაჯა

**იტალიელი ფაბიო ფონინი დიდი სლემის ტურნირების ისტორიაში ყველაზე მეტად დააჯარიმეს. ამის შესახებ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია იუწყება. პირველი წრის მატჩის მსვლელობისას აპენინელი უცენზურო სიტყვებს ხმამაღლა წარმოთქვამდა და არასპორტულად იქცეოდა. სწორედ ასეთი კვალიფიკაცია მისცეს მის ქცევას. ფაბიოს ჯარიმის სახით 27500 დოლარის გადახდა მოუწევს.**

2009 წელს სერენა უილიამსი 82500 დოლარით დასაჯეს. მაშინ უილიამს-უმცროსი მსაჯს აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალური შეხვედრის მსვლელობისას მოკვლით დაემუქრა, მაგრამ სერენას მკაცრი ვერდიქტი ტურნირის დასრულების შემდეგ კარგახნიანი მსჯელობის შემდეგ გამოუტანეს, უშუალოდ შეჯიბრების მსვლელობისას კი მხოლოდ 2000 დოლარის გადახდა დააკისრეს.

ფონინის რაც შეეხება, უიმბლდონზე მესამე წრეში გასვლისთვის ის 71000 გირვანქას (დაახლოებით 120000 დოლარი) მიიღებს. ასე რომ, ჯარიმას ფაბიო წლევანდელ უიმბლდონზე გამომუშავებული თანხითაც თავისუფლად გადაიხდის.

**ნატა ნიბლაძე**

**გამოიცა**

# მთელი ცხოვრების დამტევი წიგნი

**ახლახან გამომცემლობა „ბერი-კამ“ გამოსცა პროფესორ ამირან მექვაბიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნი, რომელშიც ფოტოებით არის წარმოდგენილი განვლილი ცხოვრება. აქ არის როგორც ბავშვობის, ისე სტუდენტობის დროინდელი პერიოდის, მესხეთში განაწილების მიხედვით კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე ყოფნის მნიშვნელოვანი ფოტომომენტები.**



ფოტომატიანეში თვალსაჩინოდაა, აგრეთვე, წარმოდგენილი ამირან მექვაბიშვილის მიერ ჯერ ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორად, ხოლო შემდეგ თბილისის ტურიზმის აკადემიის დირექტორად მუშაობის მომენტები.

ამირან მექვაბიშვილი თავის ფოტომატიანეში დიდ ადგილს უთმობს, აგრეთვე, თანამშრომლების, მეგობრების, მეზობლების, ნათესავების ფოტოსურათებს, უშუალოდ შთამომავლობას, შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს.

ვულოცავთ ამირან მექვაბიშვილს ღირსეულად განვლილ გზას!

**გიორგი ნაჭყებია**

**ინფორმაცია**

## ჯანდაცვის ტურიზმში თანამშრომლობა ღრმავდება

**საერთაშორისო სამედიცინო მომსახურების ასოციაციის IPSA-ს ეგიდით თბილისში სემინარი გაიმართა, რომელშიც თურქეთის ჯანდაცვის სისტემის, ინფრასტრუქტურისა და წამყვანი საავადმყოფოების („მედიკალ პარკი“, „მედიქანა“, „ემსეიჰოსპითალ“, „გიუვენ ჰასთანესი“, „იმპერიალ ჰასთანესი“, ანტალიის ჯანდაცვის სამმართველო, რიზეს სახელმწიფო საავადმყოფოების გაერთიანება, თურქეთის ჯანდაცვის ტურიზმის წრე „რედსთარ ჰავა ამბულანსის“ კომპანია), ასევე საქართველოში თურქეთის საელჩოს წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.**

სემინარს ორგანიზება გაუწია პლატფორმამ Visitturkeyforhealthcare Platform. ქართული მხრიდან სემინარის მუშაობაში ჩართული იყვნენ საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს, სამედიცინო უნივერსიტეტის, ცენტრალური ჰოსპიტლებისა და რეგიონალური საავადმყოფოების წარმომადგენლები, ასევე, ცალკეული მედიკოსები.

თურქულმა მხარემ წარმოადგინა პრეზენტაცია თურქეთის ჯანდაცვის სისტემასა და ბოლო ათი წლის მანძილზე ამ სფეროში განხორციელებული რეფორმების შესახებ.

პლატფორმის თავმჯდომარის დოქტორ დურსუნ აიდინის განცხადებით, უახლოეს მომავალში პროექტის ფარგლებში თურქეთიდან ჩამოვა ექიმთა ჯგუფი და თურქეთის საელჩოს დახმარებით განახორციელებენ კიბოს სკრინინგ-პროგრამას. სიახლეა ის გადაწყვეტილებაც, რომ 2015 წლის განმავლობაში თბილისში მდებარე იუნუს ემრეს ინსტიტუში თურქულ ენას შეისწავლიან ის ქართველი ექიმები, რომლებიც ამჟამად დაუსაქმებლები არიან. მათგან წარმატებულებს თურქეთის კერძო საავადმყოფოებში მუშაობის შანსი მიეცემათ.

ბოლო 10 წლის განმავლობაში ჯანდაცვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებზე აყვანამ თურქეთს საშუალება მისცა მთელი მსოფლიოსთვის შეეთავაზებინა იმ დონის სამედიცინო სერვისის, რაც დასავლეთის წამყვან ქვეყნებსა და აშშ-შია დანერგილი. 2012 წელს თურქეთში საქართველოს 3700-ზე მეტმა მოქალაქემ იმკურნალა, 2013 წელს მათმა რიცხვმა უკვე 6000-ს გადააჭარბა.

რაც შეეხება საერთაშორისო სამედიცინო მომსახურების ასოციაცია IPSA-ს (www.ipsa8org.tr/ ტელ: 00 90 444 5986), იგი ჩამოყალიბდა ანკარაში და მისი მიზანია აამაღლოს ჯანსაღი ტურიზმის მნიშვნელობა და გაზარდოს თურქეთში სამკურნალოდ და გასაჯანსაღებლად ჩასული ტურისტების რიცხვი.

## უცხოური ბრენდები დავაინტერესოთ

**საქართველოს ბიზნესასოციაცია ეკონომიკის სამინისტროსა და მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან ერთად ამერიკის სავაჭრო დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ფრანჩაიზინგის პროგრამაში მონაწილეობს.**

პროგრამის მიზანია, უკეთ გააცნოს ფრანჩაიზინგი ქართველ ინვესტორებს თუ სხვა ეკონომიკურ აგენტებს, ასევე ხელი შეუწყოს საერთაშორისო ბრენდების შემოსვლას და დააკავშიროს ადგილობრივი ინვესტორები გლობალურ ფრანჩაიზორებთან.

პროგრამის ფარგლებში ამერიკის სავაჭრო დეპარტამენტის მიერ, 16-21 ივნისს, ნიუ-იორკში სემინარი გაიმართა, რომელსაც ეკონომიკის სამინისტროსა და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ირინა კვახაძე დაესწრო. სემინარზე ქართული დელეგაცია ფრანჩაიზინგის თავისებურებებს, კომერციულ თუ სამართლებრივ ნიუანსებს და ფრანჩაიზორებთან მოლაპარაკების წარმოების საუკეთესო პრაქტიკას გაეცნო.

ნიუ-იორკში ვიზიტისას საქართველოს ბიზნესასოციაციის წარმომადგენელი საერთაშორისო ფრანჩაიზორთა გამოფენასაც დაესწრო. ექსპოზე, სადაც 100-ზე მეტი კომპანია მონაწილეობდა, ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ისეთი საერთაშორისო ბრენდების წარმომადგენლებს შეხვდა, როგორიცაა Ben and Jerry's, Signarama da Yogurtzone.

## განცხადება

სს „ელმავალმშენებლის“ აქციონერებს გაცნობებთ, რომ სს „ელმავალმშენებლის“ წესდების 19.5 პუნქტის და საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 54.1[1] პუნქტის შესაბამისად, რამონ ჰენრი მარტინ ცუკეტომ, სს „ელმავალმშენებლის“ აქციების 87%-ის მფლობელი აქციონერის შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანიის **LOKO TRANS HOLDINGS B.V.**-ის დირექტორი **Allied Corporate Management B.V.**-ის დირექტორმა განიხილა შემდეგი საკითხი:

2012 წელს მიმდინარე საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფისათვის, სს „ელმავალმშენებლის“ მიერ 2009-2011 წლებში მიღებული რეინვესტირებული წმინდა მოგების გამოყენების კორექტულობის შესახებ.

შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

2012 წელს მიმდინარე საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფისათვის, აუდიტორების **შპს „ქართული აუდიტორული კომპანიისა“ (დირექტორი ო. წიკლაური) და შპს „ჯეი ფი ეი“-ს (დირექტორი გ. კეკუა)** რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (08.01.2013წ.) სს „ელმავალმშენებლის“ მიერ 2009-2011 წლებში მიღებული რეინვესტირებული წმინდა მოგების – 7 900 157,00 (შვიდი მილიონ ცხრაასი ათას ას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარის გამოყენების შესახებ აღიარებული იქნას არაკორექტულად და 2013 წლის რეინვესტირებული წმინდა მოგება 7 900 157,00 ლარის ოდენობით აღდგენილ იქნას საბუღალტრო აღრიცხვასა და საგადასახადო დეკლარაციაში.

**სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭო**

**პარნასი**

## რუსთაველი ღმერთების საბრძანებელში

**საბერძნეთში, პარნასის მთაზე, შოთა რუსთაველის ძეგლი დაიდგმება, — ამის შესახებ თბილისის საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტის“ ოფისში, რუსულენოვან მწერალთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ოლეგ ვოლოვიკმა განაცხადა.**

**პრესკონფერენციას ასევე ესწრებოდა სტრატეგიული განვითარების ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი მოსკოვში რამაზ დურგლიშვილი.**

**როგორც პრესკონფერენციაზე ოლეგ ვოლოვიკმა განაცხადა, ამ იდეის ინიციატორია რუსულენოვან მწერალთა საერთაშორისო ფედერაცია და იგი ქართულ მხარესთან თანამშრომლობით განხორციელდება. მისი თქმით, ამ პროექტის შესახებ უკვე ესაუბრნენ კულტურის მინისტრს და ასევე კურთხევა მიიღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისგან.**

**ინტერპრესი**

**სანთელი**

# სულეიმან სულეიმანოვი



წავიდა ჩვენგან ნიჭიერი ჟურნალისტი, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ძმობისა და მეგობრობის თავგამოდებული ქომაგი და პროპაგანდისტი, გაზეთ „გურჯისტანის“ რედაქტორი, შესანიშნავი პიროვნება **სულეიმან სულეიმანოვი**.

სულეიმან სულეიმანოვი დაიბადა 1935 წლის 5 მაისს, მარნეულის რაიონის სოფელ ქუთლიარში. მეზობელი ბაიდარის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა მარნეულის პედაგოგიური ტექნიკუმი და თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო ბაიდარის საშუალო სკოლაში აზერბაიჯანული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლად, შემდეგ იყო ამ სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში.

1962 წელს აირჩიეს მარნეულის რაიონის კომკავშირის კომიტეტის პირველ მდივნად. 1964 წლიდან მუშაობდა მარნეულის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, რაიკომის მდივნად, არჩეული იყო პარტიის რაიკომის ბიუროს წევრად, არაერთგზის აირჩიეს ასევე რაიონული საბჭოს დეპუტატად.

1972 წლიდან დღემდე მუშაობდა გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“, 1990 წლიდან — გაზეთ „გურჯისტანის“ რედაქტორად. 92 წლის „გურჯისტანი“ იყო და არის ბეჭდვითი სიტყვის შემოქმედებითი ცენტრი. მიღებული ჰქონდა მრავალი საავტორო პრემია, იყო ბევრი სასარგებლო საქმის ინიციატორი. მისი ოთხი თანამშრომელი 1979 წელს დააჯილდოვეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

სულეიმან სულეიმანოვი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 23-ე, 24-ე და 25-ე ყრილობების სარევიზიო კომისიის წევრად, 1980 წელს — საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1981 წელს დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით, 1997 წელს — „ღირსების ორდენით“.

გაზეთის რედაქტორად 41 წლის მუშაობის პერიოდში მან თავის გარშემო შემოიკრიბა შემოქმედებითი ძალები. მისი თანაავტორობით გამოიცა „ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი“, ს. სულეიმანოვის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანულ ენაზე ითარგმნა „საქართველოს ისტორია“, „საქართველოს გეოგრაფია“ და მრავალი საინტერესო და საყურადღებო ნაშრომი.

ს. სულეიმანოვი დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება.

ს. სულეიმანოვი არჩეული იყო საქართველოს აზერბაიჯანელთა საბჭოს თავმჯდომარედ (საბჭო შეიქმნა 1992 წელს). მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან მიუძღვნა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ერთობას, ძმობას და მეგობრობას.

მის დამსახურებათა დამფასებლები დიდხანს შეინარჩუნებენ მის ხსოვნას და გადასცემენ მომავალ თაობებს.

**გაზეთები „გურჯისტანი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „ვრასტანი“, „სვობოდნაია გრუზია“, „ვეჩერნი ტბილისის“, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი, მეგობრები, კოლეგები.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „გურჯისტანის“ რედაქტორი, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ძმობის დაუღალავი მქადაგებელი, მეგობარი და პიროვნება**

**სულეიმან სულეიმანოვი**

**და გულითადად თანაუგრძნობს მის ოჯახსა და მეგობრებს.**

**თენგიზ, ქეთინო, ქეთი ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ნელი და ზაურ ფხალაძეებს მამისა და სიმამრის**

**გიორგი არსენის ძე არსენიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**თემურ, თენგიზ, ანიკო, ნათია კუჭუხიძეები სამძიმარს უცხადებენ ნელი და ზაურ ფხალაძეებს მამისა და სიმამრის**

**გიორგი არსენის ძე არსენიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**შვილი ასმათ კამკამიძე, სიძეები გოჩა ჭულუხაძე, პავლე ყიფიანი, ნიკა გუდაძე, ლადო ბაბუციძე, შვილიშვილები ქეთი ჭულუხაძე, ნინო, მარიამ, სალომე, ნიკა ყიფიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**მარგალიტა (მარგო) ვარდენის ასული კამკამიძე**

**პანაშვიდი 29, 30 VI, 17 სთ. გამოსვენება 1 VII, 14 სთ. მისამართი: არაყიშვილის 9. III სართული, ბინა 5.**

## გვეკითხებიან – ვუპასუხებთ

### დაძინების ხუთი ხერხი

**ხშირად მაწუხებს უძილობა. უნდა მივიღო ძილის საშუალებები თუ არის რაიმე ხერხი, რომ მოვიწესრიგო ძილი წამლების გარეშე?**

**თამარი, ლაგოდეხი.**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი გაბუნია:**

– სანამ ძილის საშუალებებს მიმართავდეთ, ისწავლეთ ჰიგიენის წესები. აი, ძირითადი მათგანი:

**1. საწოლი – მხოლოდ ძილისთვის.** ამერიკელი მკვლევარები გვაფრთხილებენ: გამოიყენეთ საწოლი მხოლოდ ძილისა და სექსისთვის. უბრალოდ წამოწვე, იკოტრიალო კომპიუტერით ხელში ან უყურო ტელევიზორს ძილის წინ – ეს ყოველივე, მეცნიერთა აზრით, დაუშვებელია. სპეციალისტები დარწმუნებული არიან: იმისთვის, რომ დავიძინოთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ დაძინების პროცესზე, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ძილზე კონცენტრირება, თუ კიდევ რამეს გააკეთებ საწოლში.

**2. იძინეთ სწორედ იმდენი, რომ თავი დასვენებულად იგრძნოთ.** ზედმეტად ნუ იძინებთ, ნუ იკოტრიალებთ უბრალოდ, მაშინაც კი, თუ გგონიათ, რომ ადგომა ჯერ კიდევ ადრეა.

**3. დაიცავით რეჟიმი.** ეცადეთ, შეეჩვიოთ, ადგეთ და დაწვეთ დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს, მიუხედავად უქმე დღეებისა და დღესასწაულებისა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ ძილი იყოს მაგარი. ვინაიდან მათთვის, ვინც ვერ ახერხებს გამოძინებას სამუშაო დღეებში, მაგრამ ცდილობს, ეს აინაზღაუროს უქმე დღეებში, უძილობა მიმდინარეობს გაცილებით უარეს ვარიანტში.

**4. ნუ აიძულებთ თავს, რომ იძინოთ.** თუ იწექით 20 წუთზე მეტი და ვერ შეძელით დაძინება, ადე-



ქით, გადით მეორე ოთახში. წაიკითხეთ, მონახეთ რაიმე სხვა საქმე და არ დაწვეთ მანამ, სანამ ძილი არ მოგინდებათ. ალგორითმი ასეთი უნდა იყოს: მოგინდებათ დაძინება – დაწექით საწოლში. კვლავ 20 წუთი იწექით და მიხვდით, რომ არ შეგიძლიათ დაძინება – კვლავ ადექით და წადით წიგნის წასაკითხად ანდა რაიმე საქმის გასაკეთებლად. თუმცა, გაითვალისწინეთ, თქვენი საქმიანობა უნდა იყოს მშვიდი. თუ გადაწყვიტეთ, ჭამოთ, დაითვალოთ ფული და გადაიანგარიშოთ, თუ რამდენი სახსარია საჭირო კრედიტების გადახდისა და ანგარიშების გასწორებისთვის, უყუროთ ახალ ამბებს, ეს მხოლოდ გაგაღიზიანებთ და დაძინებაში არ დაგეხმარებათ.

**5. ნუ დალევთ სადილის შემდეგ მაგარ ჩაისა და ყავას.** კოფეინი, რომლებსაც სასმელები შეიცავენ, იწვევს უძილობის პროვოცირებას. და თუ იმის შესახებ, რომ ყავა ხელს უშლის დაძინებას, იცის ბევრმა, ჩაისადმი ადამიანების უმრავლესობას მეტად ზედაპირული დამოკიდებულება აქვს. ჩაიში ხომ ზოგჯერ უფრო მეტი კოფეინია, ვიდრე ყავაში!

### ვითომ ექიმი ხართ



**რა უნდა გავაკეთოთ, რომ ბავშვს არ გაუჩნდეს კბილის ექიმის შიში?**

**თამარ შიოშვილი, ბათუმი**

**გვიპასუხებს ექიმი-სტომატოლგი ნათელა ძოწალია:**

– შეეცადეთ, დაიცვათ ასეთი წესები:

როდესაც სტომატოლოგთან მიდიხართ, ამაზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთ. ნუ აღნიშნავთ მოვლენის მნიშვნელობას, მით უმეტეს უსიამოვნებას და ნუ ილაპარაკებთ, რომ „ეს ტკივილია“. ბავშვმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ რაღაცის უნდა ეშინოდეს, თქვენი სიტყვებით კი აიძულებთ მას, დაძაბოს ყურადღება. ნუ ეტყვით, რომ ექიმი არაფერს გაუკეთებს. შემდეგ ხომ მიხვდება ბავშვი, რომ მოატყუეს.

არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ნემსის გაკეთება“, „ბურღი“, „ბორმანქანა“ და ა. შ.

სახლში გაითამაშეთ თამაში – „ჩვენ მივედით ექიმთან“. დაე, ისწავლოს ბავშვმა, თუ როგორ ჩაჯდეს სავარძელში, გააღოს პირი და ჰქონდეს იგი ღია. როდესაც ყველა მოქმედება ცნობილი იქნება, პატარას უკვე ისე აღარ შეეშინდება.

თუ ბავშვი ძალიან პატარაა, უთხარით მას, რომ ერთად წახვალთ ექიმ აიბოლიტთან. ბავშვს აუცილებლად მოუნდება გაიცნოს ზღაპრის საყვარელი პერსონაჟი.

მოიყვანეთ ერთი-ორი „ძლიერი“ არგუმენტი: „როდესაც დედა და მამა პატარები იყვნენ, ისინიც დადიოდნენ კბილის ექიმთან“.

ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ თქვენ მუდამ ექიმის კაბინეტის გვერდით იქნებით.


## ქართული ფლორის საოცრება

### „სალხინო“ უებარი წამალია



**„სალხინო“** აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

**„სალხინო“** სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

**„სალხინოში“** შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

**„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.**

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84**
www.salkhino.ge


## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** ეს მხოლოდ **ინფორმაცია...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად ღირსეულად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, თევდორე მღვდლის 13 ( აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის გვერდით). ტელ.: (995 32)224 00 99, 224 00 98.


**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
**299-62-77; 568 82-09-84..**


## ციცხალი ანეკდოტები

– **გამარჯობა,** მიხო!
– გაგიმარჯოს, ნიკა!
– ბიჭო, რამდენი ხანია, არ მინახიხარ, სკოლის დამთავრების მერე...
– ჰო, ძალიან სწრაფად გარბის დრო...
– აბა, როგორ ხარ, სად ხარ?
– კარგად ვარ, პირადი მძღოლი მყავს და „მიგალკიანი“ მანქანით დავდივარ...
– ოჰო, მაგარია! შენ რა, დეპუტატი ხარ?
– სასწრაფო დახმარების სანიტარი!

* * *

– **ტოლიკ,** ჩემთვის რაიმეს თქმა გინდა?
– არა, შენთვის ერთი რამის დანაყვა მინდა.

* * *

– **აი,** აგარაკი ვიყიდეთ დასასვენებლად.
– მერე ისვენებთ?
– კი, როდესაც აგარაკზე არ მივდივართ...

* * *

– **მისმინე,** ივან. აი, გაზეთში წერია, რომ აფრიკის ქვეყნებში ქალის ყიდვა თურმე 40 დოლარად შეიძლება, ეს ხომ წარმოუდგენელია! – აღშფოთებით ეუბნება ცოლი.



– რატომ? – სერიოზულად უპასუხებს ქმარი, – კარგ ქალში შეიძლება ამ ფულის გადახდა.

* * *

– **მოშე,** შენ ჩემი 50 ცენტი გმართებს.
– კარგი, ჩემს ანგარიშზე ჩაწერე.
– კი, ბატონო, იმ 100 დოლარს მივუმატებ.
– რომელ 100 დოლარს?
– ანგარიშის გახსნისთვის რომ უნდა გადაიხადო.

* * *

**სახლში** მოულოდნელად დაბრუნებული ქმარი თავისი ცოლის საწოლში ორ ტიტველ მამაკაცს დაინახავს:
– ვინა ხართ? პედერასტები?
– არა, შენი ცოლი ლუდის საყიდლად გაიქცა...

* * *

**პოლიციამ** დაადგინა, რომ ქალაქის საპენსიო ფონდის კარებზე წარწერა „ივანოვი ცოცხალია“, გაუკეთებია ივან ივანეს ძე ივანოვს, ვისთვისაც სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე არ მიუტანიათ პენსია.

* * *

– **დედი,** დედი! მამა მანქანის ქვეშ მოყვა!
– ღმერთო ჩემო! სად? რომელი მანქანის ქვეშ?
– სამთვლიანი ველოსიპედის ქვეშ...
– ფუი, როგორ შემაშინე...
– ასფალტს რომ ტკეპნიან, იმის ქვეშ...

* * *

**საღამოს** ქმარი სადღაც მიდის.
– მამი, სად მიდიხარ? – ეკითხება 4 წლის გოგო.
– მორჩა, მივდივარ თქვენგან.
– შენი ხარახურა არ მიგაქვს?

## ფოტოფაქტი



შოტლანდიაში წარმოადგინეს ჩაფხუტი მეხანძრეებისთვის, რომელიც აღჭურვილია სპეციალური გადამცემით. იგი განსაზღვრავს ჰაერის ტემპერატურას და მანძილს ობიექტამდე, წარმოაჩენს მათ დისპლეიზე თვალების წინ.


ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24